# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 10 სექტემბერი 1998 №161 (696) ფასი 40 თეთრი


საქართველოს ჩემპიონატი

## 5 ტური

8 სექტემბერი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| იბერია | 2 |
| ლოკომოტივი | 3 |
| გორდა | 0 |
| არსენალი | 1 |
| კოლხეთი | 4 |
| სამგურალი | 2 |
| სიონი | 1 |
| მერანი | 4 |
| ბათუმი | 4 |
| გურია | 0 |
| თსუ | 1 |
| დინამო | 3 |
| ოდიში | 2 |
| დილა | 1 |

9 სექტემბერი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| ტორპედო | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 21:4 | 12 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 13:6 | 10 |
| დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| იბერია | 5 | 3 | 0 | 2 | 12:10 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| კოლხეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 7 |
| მერანი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | 6 |
| ოდიში | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ბათუმი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:8 | 5 |
| არსენალი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:10 | 5 |
| გურია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |
| სამგურალი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |
| სიონი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:16 | 4 |
| თსუ | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |
| გორდა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |



გუშინ მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედო“.
დავით ასლანაძემ ეს ბურთიც და პენალტიც კი აილო, მაგრამ ერთი მაინც გაუშვა

# რიბეკი ორი ათასამდე

*მიუნხენის „ბაიერნისა“ და ლევერკუზენის „ბაიერის“ ყოფილი მწვრთნელი, 61 წლის ერიხ რიბეკი გერმანიის ნაკრების თავკაცად დაინიშნა.*

— ორი დღის შემდეგ, რაც ბერტი ფოგტსი გადადგა, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ნაკრებს ახალი ხელმძღვანელი გამოუძებნა — გუნდს დღეიდან ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის დასასრულამდე ერიხ რიბეკი გაწვრთნის — ფედერაციის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა გუშინ ასეთი განცხადება გააკეთა.

10 ოქტომბერს ბუნდესნაკრებს სტამბულში ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ელის მასპინძელთა საკმაოდ ძლიერ გუნდთან. ამის კვალობაზე ბერტი ფოგტსის წასვლა თითქოს ცუდიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მწვრთნელის გადადგომა კრიტიკოსებმა კარგ ნიშნად აღიქვეს, თურმე სპეციალისტებს იმის იმედი არ ჰქონიათ, რომ გერმანიის ნაკრები ფოგტსის ხელმძღვანელობით სტამბოლში სასურველ შედეგს მიაღწევდა.

ბადრი კეთილაძის ფოტო



მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ გერმანიის ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელი ერიხ რიბეკი

საინტერესოა, რას იზამს რიბეკი. თავის დროზე იგი იუპ დერვალის თანაშემწედ მუშაობდა ნაკრებში, ახლა კი გუნდს თავად გაწვრთნის. რაც შეეხება მის თანაშემწეს, იგი ული შტილიკე იქნება, რომელიც აქამდე გერმანიის ჭაბუკთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა.

იუპ ჰაინკესი, კრისტოფ დაუმი, ოტო რეჰაგელი, ოტმარ ჰიცფელდი — ყოველი მათგანი ნაკრების შესაძლო მწვრთნელად განიხილებოდა, მაგრამ გამოჩნდა რიბეკი და...

# ირანში ბაირამია

## გურჯებს ოქრო-ვერცხლი არ გამოატანეს

ორი დღეა, ირანში ბაირამია — თეირანი თავისუფლად მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. იქ მოასპარეზე ჩვენიანებიდან უპირველესად ელდარ კურტანიძისა და დავით პოლოსიანის გვეიმედებოდა — ევროპის ჩემპიონები იქნებ მსოფლიოში პირველობასაც შესწვდენოდნენ, მაგრამ... საქმე ისე აეწყო, ჩვენებს ბრინჯაოსთვისღა აქვთ საბრძოლი.

იხილეთ მერვე გვერდი

REUTERS თეირანიდან



## გერმანია

III ტური

**ნიურნბერგი 0:0 დორტმუნდი**

**ლევერკუზენი 1:2 ჰამბურგი**

0:1 გროტი (61), 1:1 მაიერი (85), 1:2 გროტი (87)

**ჰერტა 2:0 შალკე**

1:0 რეკდალი (65პ), 2:0 ტრეტშოკი (75)

**ბაიერნი 6:1 ჰანზა**

1:0 ეფენბერგი (50პ), 2:0 ჰელმერი (53), 3:0 ლისარასუ (56), 3:1 რამდანი (65), 4:1 ციკლერი (72), 5:1 იანკერი (73), 6:1 ციკლერი (85)

### მეორე ბუნდესლიგა

**დიუსელდორფი 2:2 ბერლინი**

1:0 ტარე (1), 1:1 კოვაჩევიჩი (53), 2:1 ტარე (68), 2:2 ნამდარი (87)

## ბელგია

მე-5 ტური. ოსტენდე — შარლერუა 0:0; სტანდარდი — კორტრაიკი 2:1; გენტი — გენკი 0:1; ლომელი — ეკერენი 1:2; ანდერლეხტი — ბრიუგე 2:3; ჰარელბეკე — ვესტერლო 1:2; ლოკერენი — მუსკრონი 0:0; ლიერსი — ბევერენი 3:0; აალსტი — სტ. ტრუიდენი 1:3

გუშინ გამართული სხვა მატჩების შედეგები იხილეთ მერვე გვერდზე

# პირველად იყო ქალი

US OPEN

გუშინ ამერიკის ღია პირველობაზე პირველი ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. ქალებში მეორედ განთესილმა ამერიკელმა ლინდსი დევენპორტმა სამხრეთაფრიკელ ამანდა კუტცერს 6:0, 6:4 მოუგო. კაცთა მეოთხედფინალს პირველი ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი გასცდა — შვედი იონას ბიორკმანი 6:2, 6:3, 7:5 დაამარცხა.

იხილეთ მერვე გვერდი

REUTERS ნიუ იორკიდან



დევენპორტი ჯანზე და დიდ გულზეა

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში




არავინ და არაფერია დავიწყებული!

ყოველ ხუთშაბათს: ყველა ქართველი ფეხბურთელი, ვისაც საბჭოთა ნაკრებში ერთხელ მაინც უთამაშია.

სერიის მეორე წერილი რევაზ ჩელებაძეზე იხილეთ მეოთხე გვერდზე

მცხეთა
9 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
2 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:2 ტორპედო

0:1 ვაშაკიძე (52), 0:2 იონანიძე (60), 1:2 ჭანკოტაძე (69)

გოჩაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (65)

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, პეტრიაშვილი (ა. ბოკერია 63), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, თ. ბოკერია (ზ. გვაზავა 63), აბაზაძე, კაპანაძე (ენუქიძე 70), ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე, გოჩაშვილი, გ. გვაზავა

*სათადარიგონი:* გუგუნავა, დოლიძე, ქოხონელიძე, ვ. ქუთათელაძე

**ტორპედო:** ასლანაძე, პ. ჯინჭარაძე, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, ჩხაიძე (მაღლაკელიძე 68), შეყრილაძე, ყიფიანი (ქებაძე 88), თურმანიძე, დ. ჯანაშია, იონანიძე, ვაჩიბერაძე (კ. მეტრეველი 83)

*სათადარიგო:* მამარდაშვილი

**გაძევება:** ჩხაბერიძე (64)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ს. კახიანი (თბილისი), კ. მესხი (ზუგდიდი), ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სფფ-ს დელეგატი:** ბ. ქარქაშაძე

# მწვრთნელი უნდა ხერხი იყოს...



გიორგი ყიფიანის (№23) და ჯაბა მუჯირის ამ შებმის მსგავსი ბრძოლა ბევრი იყო, მაგრამ უხეშობაში არ გადაზრდილა

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

„ტორპედოს" მცხეთური „არმაზი" კარგად აქვს დაცდილი. გამონაკლისი მხოლოდ წინა ჩემპიონატის „დინამო" — „ტორპედო" გამოდგა. დანარჩენ შემთხვევაში ქუთაისელები შინ გახარებულები დაბრუნდნენ.

გუშინაც მათი დღე იყო. მიუხედავად სპეციალისტების ვარაუდისა, „ტორპედო" სწორედ მეხუთე ტურში შეწყვეტს დაუმარცხებელ სერიასო, ქუთაისელებმა მაინც იმარჯვეს.

არადა, რიონისპირელთა შინაურ სამზარეულოში სერიოზული დისბალანსი შეინიშნებოდა. თამაშზე „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძე არ ჩამოჰყოლია, არც პრეზიდენტი ბესიკ ჯიქია გამოჩენილა. თავად ფეხბურთელებს კი გაურკვევლობას შეატყობდით.

საქართველოს ოდინდელ დედაქალაქში იმერლებმა ვერც თავდაჩრდილული მეგრელაძე, ტრავმებიანი კვეტენაძე და ჩხეტიანი იახლეს.

მიუხედავად ამისა, ქუთაისელებს ვეტერინართა დასამარცხებელი ძალა აღმოაჩნდათ. სტუმრებს უფრო მაღალი კლასის, შედარებით ძლიერი ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული გუნდი ჰყავთ.

„ვიტ ჯორჯიას" გაცილებით მეტი შეუძლია, თუმცა საბოლოოდ ჩამოყალიბება-შეთამაშებამდე მაინც ბევრი ოფლისღვრა მართებს. გამოცდილებაც ხომ ბევრს ნიშნავს, რაც უნდა იყოს, „ტორპედო" მაინც ევროპამოვლილი გუნდია.

სტუმართა გუშინდელმა თავკაცმა ჯემალ ხერხაძემ მინდორზე დაცვის ხაზის ექვსი მოთამაშე გაამწესა, რომელთაც მართალია, სხვადასხვა დავალება ეკისრებოდათ, მაგრამ აშკარა იყო, ქუთაისელები კონტრშეტევებზე გაამახვილებდნენ ყურადღებას. ან რატომაც არა, როცა გუნდში ისეთი ფეხბურთელები გყავს, როგორებიც ჩხაიძე და ჯანაშია არიან. თუმც ისიც სათქმელია, რომ თამაში არცერთს გამოუვიდა. მიუხედავად ამისა, მათი მინდორზე ყოფნა მასპინძლებს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა.

პირველი ტაიმი ვერაფერი სანახავი იყო. ძირითადად მოედნის ცენტრში გაჩაღებული ბურთაობა და მეკარეთა არცთუ ხშირი შეწუხება. პირველად იონანიძემ გაისროლა, ბურთს ჭურაძე მედგრად დაუხვდა. მერე გოჩაშვილმა ააცილა მცირედით, ხოლო სტუმარ ვაჩიბერაძეს უკვე ხელები აღმართული ჰქონდა, როცა მასპინძელთა მეკარემ ცივი წყალი გადაასხა.

სულ ეგ იყო. სტუმარ-მასპინძელი შესვენებაზე მეორე ტაიმის იმედად წავიდა. საფინალო ორმოცდახუთწუთეული „ტორპედომ" უფრო მობილურად დაიწყო, ჯანაშია ერთხელაც ჩვეულად გაიქცა და მხოლოდ წესების დარღვევით შეაჩერეს საჯარიმოს მისადგომებთან. კუთხე ისეთი მახვილი გახლდათ, კარში დარტყმას აზრი ეკარგებოდა, თანაც მეტოქის საჯარიმოსკენ სტუმართა სტოპერი ვაშაკიძე გაეშურა. ჯანაშიამაც ჩაწოდება ამჯობინა, ხოლო ვაშაკიძემ მასთან მოჭიდავე გვაზავასაც აჯობა და ჭურაძესაც თავით თავზე გადაატარა ბურთი.

„ტორპედომ" ერთს მალე მეორეც მიაყოლა. ჯანაშიამ ვაჩიბერაძე დატოვა მცველების უკან, ზაზამ კი ნაღდი ირჩია, თავად ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა უფრო უკეთესში მდგომი იონანიძე მოძებნა. თავდამსხმელმა ბურთს ოდნავ „მიუცაცუნა" და ცარიელ კარში შააგორა.

ორბურთიანი დეფიციტის გაქვითვა „ტორპედოსთან" ადვილი როდია, ვეტერინარებიც ვა-ბანკზე წავიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა, დიდი ანგარიშით დამარცხებულიყვნენ, მაინც თავქუდმოგლეჯილები შეტევებს მიეძალნენ.

მასპინძელთა დასჯა ჯერ იონანიძეს, მერე ორჯერ ჯანაშიას შეეძლოთ, მაგრამ მეკარესთან ლამის პირისპირ დარჩენილებმა ბურთს საკმაოდ უზუსტოდ ურტყეს.

მასპინძელთა მონდომებას მალე შედეგი მოჰყვა. მცველებმა ნოზაძის მისამართით გაჭრეს ბურთი, რომელსაც ასლანაძე დროულად კი გამოუხტა და თავითაც მოიგერია, მაგრამ ტორპედოელებმა მინდვრის შუაგულშივე გვაზავას დაუთმეს. თავდამსხმელმა პირდაპირ კარში დაარტყა, ბურთი ცხრიანისკენ გაფრინდა. ჩხაბერიძეს ასლანაძე არ დაუნახავს, მეკარე უცილობლად შეწვდებოდა ბურთს, კუთხეც გადაფარული ჰქონდა, მაგრამ მისი მაგივრობა მცველმა იკისრა — დარტყმული ხელით აიღო. შედეგად თერთმეტმეტრიანი და წითელი ბარათი. კვარაცხელიას გადაწყვეტილება სამართლიანი იყო.

არ ვიცი, თამაშში რა გარდატეხას შეიტანდა, გოჩაშვილს შანსი რომ გამოეყენებინა, მაგრამ ვეტერინარებს მატჩის გადასარჩენად მეტი დრო და იმედი რომ დარჩებოდათ, ფაქტია. ასლანაძემ პენალტი მოიგერია, ხოლო მერე ნოზაძეს არ დაანება, დამატებაზე ზუსტად ეთამაშა.

თუმცა სტუმართა მეკარემ გასაშვები მაინც გაუშვა. დაახლოებით 35 მეტრიდან ჭანკოტაძის გასროლილ ჯარიმას უხერხულად ჩაუწვა, თითქმის აღებული ბურთიც იღლიაში გაუძვრა და მარცხენა დაბალ კუთხეში შეგორდა.

ვეტერინარებს თამაშის გადარჩენა კიდევ შეეძლოთ, მაგრამ არჩილ ბოკერიამ ორჯერ ურეალურესი მომენტი გააფუჭა — ორჯერვე თითქმის ცარიელ კარში თავით არაზუსტად დაარტყა.

ერთ-ორი კარგი მომენტი კაცნაკლულად დარჩენილმა სტუმრებმაც გააცუდეს.

ვიტელები კი კვლავ მთელი ძალით აწვებოდნენ სტუმრებს, მაგრამ ქუთაისელთა თავკაცმა ჯემალ ხერხაძემ ხერხი იხმარა — დარჩენილი ორი შეცვლის უფლება (მაღლაკელიძე ჩხაბერიძის გაძევებისთანავე შეუშვა მინდორზე) მატჩის ბოლომდე გონივრულად გამოიზოგა და მატჩიც გამარჯვებით ჩაამთავრა.

„ტორპედომ" გამოცდას გაუძლო და მეორე დედაქალაქური გუნდი დაჯაბნა. დაუმარცხებელი სერიაც, ცხადია, გაგრძელდა. მომდევნო ტურამდე ქუთაისელები, ალბათ, არსებულ პრობლემებსაც მოაგვარებენ და მეზობელ სამტრედიელებსაც დამწუხრებას დაუპირებენ. ყოველ შემთხვევაში, ამას მოითხოვენ „ტორპედოს" ფანები, რომელთა წარმომადგენლებს გუშინ მცხეთაშიც შეხვდებოდით.

# ფრუიძე ტორპედოდან წავიდა

საეჭვოა, ეს ინფორმაცია მოულოდნელი იყოს მკითხველთათვის. მოულოდნელი მხოლოდ იმ მხრივაა, რომ ეს მოხდა გუშინწინ. მაშინ, როცა გუშინ ქუთაისის „ტორპედოს" პრინციპული მატჩი ელოდა მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან". სწორედ ამ დროს სოსო ფრუიძემ წასვლა გადაწყვიტა. დიახ, გუშინდელ შეხვედრაში ქუთათურებს ჯემალ ხერხაძე ხელმძღვანელობდა. ხერხაძე, თითქმის ორი ათეული წელია, კლუბში მუშაობს და ვინ მოთვლის, რამდენი მწვრთნელისთვის გაუწევია თანაშემწეობა. ქართველი ფეხბურთის ქომაგთათვის ჯემალ ხერხაძის პიროვნება კარგადაა ცნობილი. ყოფილი ტორპედოელი მთავარი მწვრთნელის ამპლუაშიც ევლინებოდა ხოლმე გუნდს მაშინ, როდესაც ქალაქის ხელმძღვანელობა თუ კლუბის დირექტორატი „ტორპედოს" თავკაცებს თანამდებობიდან დაითხოვდნენ. ასე ჩაიბარა მან 1991-92 წლების სეზონის მეორე წრეში მაშინდელი „ქუთაისი" რევაზ ბურკაძის წასვლის შემდგომ და გუნდიც მეთერთმეტე ადგილზე გავიდა. ზუსტად იგივე სცენარით წარიმართა მოვლენები 1995-96 წლების ჩემპიონატში, ოღონდ ამ შემთხვევაში ხერხაძემ მარტის ბოლოსთვის მიიღო ესტაფეტა ბურკაძისგან. მაშინ „ტორპედო" მეშვიდე საფეხურით დაკმაყოფილდა. რა მოხდება წელს, არავინ უწყის? მოევლინება ქუთათურთა გუნდს ახალი თავკაცი, თუ ყოფილ თანაშემწეს მოუწევს საიუბილეო ჩემპიონატში ბოლომდე უხელმძღვანელოს „ტორპედოს"? იმერლებს ხომ წლეულს ჩემპიონობისათვის ბრძოლა განუზრახავთ. თუმცა უკვე დაირხა ხმები იმის შესახებ, თითქოს ქუთათურები ახალი მწვრთნელის ძიებას შედგომიან. კანდიდატებიდან ჯერჯერობით გაიოზ დარსაძეზე და თენგიზ სულაქველიძეზეა ლაპარაკი.



საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს

სოსო ფრუიძეს კი კაცნაკლულად დარჩენილ „ბათუმთან" ჩატარებულ შეხვედრაში სამარცხვინო ფრე აღარ აპატიეს და... თუმცა ფრუიძის წასვლის ჟამი კარგა ხანია, ახლოვდებოდა. მას შემდეგ, რაც შარშანდელი სეზონის ბოლოს „ტორპედომ" რამდენიმე პრინციპულ მატჩში ძალიან საჭირო ქულები დაკარგა და მხოლოდ ინტერტოტოს საგზურს დასჯერდა. ინტერტოტოზე კი გუნდმა სავალალო ფიასკო განიცადა. ქუთაისელი ფანობაც ერთხმად აუმხედრდა კლუბის ხელმძღვანელობას. ფანების რისხვა რეგიონის გუბერნატორს, თემურ შაშიაშვილსაც დაატყდა თავს. შაშიაშვილმა სასწრაფოდ შეკრიბა „ტორპედოს" მწვრთნელ-დირექტორატი და სასტიკი საყვედური მიახალა. თანაც ორი თამაშის ვადა მისცა საქმის გამოსასწორებლად, მაგრამ მოვლენები უსწრაფესად განვითარდა. სოსო ფრუიძემ აღარ ისურვა ასეთ მდგომარეობაში მუშაობის გაგრძელება და გუნდის შეკრებაზე თავის წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა. ორი დღე ვცდილობდით კლუბის პრეზიდენტთან ბესო ჯიქიასთან დაკავშირებას და სიტუაციაში ბოლომდე გარკვევას. ჩვენდა გასაკვირად ჯიქია არც გუშინდელ მატჩს დასწრებია და ამიტომაც საქმეში ბოლომდე გათვითცნობიერება ცოტა მოგვიანებით მოგვიწევს. ეს კია, ფრუიძეს სიტყვაზე უნდა ვენდოთ, თორემ გადადგომის თაობაზე ოფიციალური განცხადება ჯერ არ დაუწერია.

ფრუიძის დროებითმა მემკვიდრემ ჯემალ ხერხაძემ კი „ვიტ ჯორჯიასთან" მეტად საჭირო სამი ქულა აღებინა „ტორპედოს" და მშობლიურ ქალაქშიც თავაწეული დაბრუნდა.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ბოლნისში მეხი გავარდა
## მწვრთნელი შესვენებაზე მოხსნეს

8 სექტემბერს, ჩემპიონატის მეხუთე ტურში, შინ თბილისის „მერანთან" მარცხის შემდეგ, ბოლნისის „სიონი" უმწვრთნელოდ დარჩა. გუნდის ხელმძღვანელობამ ბორის დუდაური გაათავისუფლა. თუმცა, როგორც ჩანს, ამ პროცესს საკმაოდ სკანდალური წინაპირობა ჰქონდა. გუშინ ბორის დუდაური აღელვებული გვესტუმრა რედაქციაში და ეს გვითხრა:

— გაოცებული და გაოგნებული ვარ ბოლნისში მომხდარის გამო. ასეთ რამეს არასდროს მოვსწრებივარ. იმდენად აღელვებული და შეურაცხყოფილი ვარ გამოცემაც მიჭირს. მოგეხსენებათ, მეხუთე ტურში „მერანს" ვმასპინძლობდით. პირველ ტაიმში თამაში ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა და 0:0 დასრულდა. შესვენების დროს საჭიროდ ჩავთვალე, თამაშში გარკვეული კორექტივები შემეტანა. კერძოდ, მინდოდა, ელგუჯა ჯაფარიძე პოზოიანით შემეცვალა. მოკლედ, შევედით გასახდელში, ჯაფარიძეს თამაშისთვის მადლობა ვუთხარი და პოზოიანს მოთელვაზე გასვლა დავავალე. ამ ფეხბურთელის წყალობით მესამე ტურის თამაში მოვიგეთ „სამგურალთან". იმ მატჩში მან დიდი კორექტივები შეიტანა და საკმაოდ ნაყოფიერად გაისარჯა. ამიტომაც მინდოდა, ფიზიკურად უფრო ძლიერ გოგოლაძეს ჯაფარიძის ადგილი დაეკავებინა, ხოლო შესაბამისად მის ადგილზე პოზოიანს ეთამაშა. მე მთავარი მწვრთნელი ვარ, ეს ჩემი პრეროგატივაა და მგონი, ამაში უჩვეულო არაფერია. მოკლედ, პოზოიანზე მითითების მიცემა დამთავრებულიც არ მქონდა, რომ გასახდელში აღელვებული გუნდის უფროსი — მერაბ ჯაფარიძე შემოვიდა და შემცვლელად გამზადებულ პოზოიანს გამაოგნებელი რამ განუცხადა — გუნდიდან თავისუფალი ხარ, შეგიძლია, ახლავე დატოვო გასახდელიო. ხმის ამოღებაც ვერ მოვასწარი, რომ იგივე წინადადება მეც გამიმეორა. წარმოგიდგენიათ, პირველი ტაიმის შემდეგ, როდესაც ანგარიშია 0:0 და თამაშის მოტრიალების დიდი შანსია, გუნდის უფროსი შემოდის გასახდელში, უხეშად ერევა მწვრთნელის კომპეტენციაში — არაფრის გამო ათავისუფლებს ფეხბურთელს და მთავარ მწვრთნელს. ასეთი რამ არსად გამიგია. ჩვენი გასახდელი საგიჟეთს დაემსგავსა და სიტუაცია უმართავი გახდა. ამასობაში შესვენებისთვის განკუთვნილი დრო თვალსა და ხელს შუა გაქრა და გუნდიც სათამაშოდ გავიდა. გაოგნებულმა მივაშურე სარბიელს (ვაღიარებ, რომ ეს ჩემი შეცდომა იყო. იმის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დამეტოვებინა სტადიონი, მაგრამ ჩემი გუნდი ვერ მივატოვე), იქ კი დიდი სიურპრიზი მელოდა — მალე ჩემმა უკვე ყოფილმა თანაშემწემ, ფირუზ რეხვიაშვილმა გაუმართლებელი შეცვლა გააკეთა — ყველაზე აქტიური გაგუა მოედნიდან გაიყვანა. მის მაგივრად ქობელაშვილი შეიყვანა თავდასხმაში, ხოლო მოსეშვილი უკან, ნახევარდაცვაში დახია. წარმოგიდგენიათ, კაცმა (ფირუზ რეხვიაშვილმა), რომელიც ყოველთვის მიმტკიცებდა, რომ სუსტი ფიზიკური მონაცემების გამო მოსეშვილი ვარჯიშებიდან უნდა დაგვეთხოვა, მეორე ნახევარში ამხელა პასუხისმგებლობა ანდო ამ ფეხბურთელს და ყველაზე შრომატევადი სამუშაო დააკისრა. გაგუას შეცვლა დიდი შეცდომა იყო. ეს გუნდის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ვთვლი, რომ რეხვიაშვილმა კოლეგიალობა დაივიწყა და „წაქცეულს წიხლი დააჭირე"-ს პრინციპით იმოქმედა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ გუნდის წაგება მე დამბრალებოდა. საოცრად გულნატკენი ვარ. თუ გუნდიდან გასაშვები ვიყავი, არ შეიძლებოდა, ეს ცივილიზებული გზით მომხდარიყო? ან ფეხბურთელმა რა დააშავა. სათქმელი აქამდეც ბევრი მქონდა. ჯაფარიძემ გუნდი ფაქტობრივად მე მომიგდო. ზოგ შემთხვევაში ფეხბურთელის კვების ფულს მე ვიხდიდი, თამაშის შემდეგ ხანდახან მოთამაშისთვის აუცილებელი საუნაც ჩემი ხარჯებით კეთდებოდა და კიდევ ათასი ნიუანსის გათვალისწინებაც მე მიწევდა. წარმოგიდგენიათ, ჩვენი მეკარე — დალაქიშვილი ტრავმირებული გავიდა თამაშზე. მატჩის წინ ტკივილების გასაყუჩებლად მას 40 გრამი ნოვოკაინი გავუკეთეთ. ვერა და ვერ მივაღწიე ხელმძღვანელობასთან იმას, რომ გუნდში მეორე მეკარე გვყოლოდა. მოკლედ, ასეა, თითქოს ყველაფერს უნდა ვაკეთებდეთ, რომ უფსკრულის პირას დამდგარი ჩვენი ფეხბურთი გადავარჩინოთ, მაგრამ საპირისპირო რამ ხდება. ასეთი მაგალითებით ფონს ნამდვილად ვერ გავალთ. დასასრულს მინდა მადლობა ვუთხრა ბოლნისელ გულშემატკივრებს. სხვებისგან განსხვავებით, მათ არ გამწირეს. დამამშვიდეს და გუნდში დარჩენა მთხოვეს, მაგრამ ეს გამორიცხულია. მე საკუთარი პრინციპები გამაჩნია. „სიონს" კი გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას. ღმერთმა ქნას, ბოლნისში სიტუაცია მალე დალაგებულიყოს, იქაური გულშემატკივარი ნამდვილად იმსახურებს ამას.



ბორის დუდაური

**პაატა კვანტალიანი**

# იაშკას ისევ ამარხულებენ
# მწვრთნელის სიტყვა კანონია

**რატომაა საჭირო ქართველი ფეხბურთელები უცხოეთის ნორმალურ კლუბებში რომ გადავიდნენ და ძლიერ საფეხბურთო ლიგაში ითამაშონ?**
**იმიტომ, რომ ალექსანდრე იაშვილის დარად მოუმატონ, ოსტატობა აიმაღლონ და პოტენციის ბოლომდე გამოვლენის საშუალება მიეცეთ. მგონი, კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი გავეცით, არა? უფრო სწორად, დამაკმაყოფილებელი კი არა, ის ვთქვით, რაც ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებასთან ერთად ქართული ფეხბურთის „გაცოცხლების“ ერთ-ერთ საშუალებად მიგვაჩნია. სანამ შინაური ბურთაობა თანამედროვე სახეს არ მიიღებს, ქართველ ფეხბურთელთა უცხოეთის, ოღონდ ძლიერ გუნდებში თამაში, ერთ-ერთის რა გითხრათ და ნაღდად ერთადერთი საშუალება იქნება იმისა, წელიწადში რამდენჯერმე მაინც რომ დავტკბეთ მათი ბურთაობით.**
**ყველაფერი რადაც ვთქვით, უკვე მიხვდებოდით. ბუნდესლიგაში შეგდებული ორი გოლისა და „ფრაიბურგის“ წარმატებული სტარტის შემდეგ საქართველოს ნაკრების ფორვარდი ალექსანდრე იაშვილი თბილისში ჩამოვიდა ალბანელებთან გასაჯიბრებლად და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, გერმანიაში საგრძნობლად დიდი ნაბიჯი რომ გადადგა, სამომავლოდ დიდი ფეხბურთის სათამაშოდ.**
**ამისთანა „სტუმარს“ აბა გაუსაუბრებლად როგორ მოვასვენებდით. იაშკამაც, მიუხედავად მოუცლელობისა (ავტოგრაფებს არიგებდა), ჩვეულად, თავაზიანად გვითხრა, გისმენთო და...**

— ერთადერთი, რაც მეორე ბუნდესლიგასა და ბუნდესლიგას არ განასხვავებს, შეიძლება ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადება იყოს — დაიწყო ალექსანდრე იაშვილმა — თორემ გაცილებით მაღალი კლასი და დონე რომ არის როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად, ამას ჩემი მტკიცება არ სჭირდება. ბუნდესლიგა ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა. ძალიან მიხარია, „ფრაიბურგმა“ წარმატებულად რომ დაიწყო ახალი სეზონი და ორი გოლი მეც შევმატე გუნდის აქტივს.

**— ბუნდესლიგურ გუნდებთან თამაში არ გაგჭირვებია?**

— გაჭირვების რა გითხრათ, მაგრამ უფრო მობილიზებულ-მონდომებული რომ ვარ, ნაღდია. სხვანაირად ძირითადში არც მათამაშებდნენ. „ფრაიბურგში“ ჩემიანად ექვსი თავდამსხმელია, ძალიან დიდი კონკურენციაა. ჰოდა, ერთი წაფორხილებაც საკმარისია, ადგილი რომ დავკარგო. სათადარიგოები დაგეშილები არიან, ყველას ძირითადში უნდა თამაში.

**— ორი გოლის გატანა უკვე მოასწარი...**

— გავიტანე, მაგრამ პარტნიორების დაუხმარებლად ვერაფერს გავაკეთებდი. თავდამსხმელის თამაში ნახევარმცველებზეა დამოკიდებული. პასებით როგორც მოგამარაგებენ, იმის შესაბამისად ითამაშებ. ორჯერვე კარგი პასი მივიღე. ერთხელ მცველი მოვატყუე და მაღალ კუთხეში მართლაც ლამაზად შევაგდე. „ბაიერთან“ გოლი კი მთლიანად თანაგუნდელის დამსახურებაა. ისე მიპასა, არგატანა საცოდაობა იქნებოდა.

**— აშკარაა, რაც გერმანიაში თამაშობ, ძლიერ მოუმატე. მაგრამ საინტერესოა, თავად რას ფიქრობ, ფიზიკურად უფრო გაყოჩაღდი, ტექნიკურად, გონებრივად თუ...**

— ფეხბურთისადმი აბსოლუტურად სხვა მიდგომაა გერმანიაში. იქ მოთამაშე მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობს, არანაირი პრობლემა არ არსებობს. ასეთ პირობებში კი მოუმატებ აბა, რა იქნება. შენს გვერდით ცნობილი ფეხბურთელები თამაშობენ, დიდ ყურადღებას გაქცევენ, შეცდომებზე ტაქტიანად მიგითითებენ. მე კი ვგრძნობ, ფიზიკურად საოცრად რომ მოვლონიერდი, თავისუფლად შემიძლია ორი ტაიმის სრული დატვირთვით თამაში, ორთაბრძოლაც და ყველფერი, რაშიც ფიზიკური მომზადება იგულისხმება. თუმცა სხვა კომპონენტებშიც რომ უფრო დავოსტატდი, ამასაც ვხვდები.

**— კოკა-კოლის დალევას კიდევ გიკრძალავენ?**

— არის ისეთი სასმელ-საჭმელი, რის მიღებასაც კატეგორიულად გვიკრძალავენ. სასმელებში კოკა-კოლაც შედის. ეს რეჟიმის დარღვევად ითვლება, დაგაჯარიმებენ.

**— არც სახლში სვამ?**

— არა, საკუთარ თავს ვავნო? მეუბნებიან არ დალიოო, მათ სიტყვას კი პატივს ვცემ.

**— ფინკესთან კარგი ურთიერთობა გქონია.**

— ისეთი, როგორც მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის უნდა იყოს. ფინკესთან მართლაც ნორმალურად ვარ. ვფიქრობ, ჩემდამი საპრეტენზიო არაფერი აქვს. მაინცდამაინც ახლოსაც არ ვარ, იქ სხვანაირადაა, დისტანციას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ორივემ ჩვენი საქმე ვიცით.

**— ცოტა ხანში კობიაშვილიც შემოგიერთდება და ალბათ უფრო გაგიადვილდება.**

— მეც და გუნდსაც. კობიაშვილს მოუთმენლად ელიან. ფინკე „ატლეტიკ“ — „დინამოს“ მატჩზეც აპირებდა ესპანეთში ჩასვლას კობის სანახავად, მაგრამ რაღაც გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა და ბილბაომდე ვეღარ ჩააღწია. სულ მის მოკითხვაშია. მე მეკითხება ხოლმე, როგორ არის, ხომ არ დაურეკავს, როდის ჩამოვა, ერთი სული მაქვსო. „ფრაიბურგს“ კობიაშვილის დაბრუნების შემდეგ დიდი ძალა შეემატება.

**— ესე იგი, ძირითადში ადგილი დაჯავშნული აქვს.**

— არა, ამის გარანტია არ არსებობს. თუ არ ითამაშა, ფინკე ისეთი კაცია, ლამაზი თვალებისთვის შემადგენლობაში არავის დააყენებს, მაგრამ ფაქტია — კობიაშვილი მოსწონთ და ელიან. ახლა მასზეა, თავს როგორ გამოიჩენს.

**— წარმატებული სტარტი კი გქონდათ, მაგრამ მეეჭვება, ლიგაში ადგილის შენარჩუნების გარდა „ფრაიბურგს“ სხვა მიზნებიც ჰქონდეს.**

— ოთხი წელი მეორე ბუნდესლიგაში ნათამაშევი გუნდისთვის, რა თქმა უნდა, უძლიერესთა ლიგაში დამკვიდრებაა უმთავრესი, მაგრამ ყველგან ამბობენ, წერენ, ჩვენც ამ აზრზე ვართ, რომ გაცილებით მაღალ ადგილებთან წათამაშება შეგვიძლია. საკმაო პოტენცია გვაქვს, გააჩნია, როგორ გამოვიყენებთ. თუ საკადრისად ვიბრძოლებთ, მეორე ბუნდესლიგა უკან დაგვრჩება.

**— ერთსაც გკითხავ, უკვე ტრადიციულს — სხვა, უფრო ძლიერ კლუბებს შენთვის თვალი არ დაუდგამთ?**

— ბუნდესლიგაში ახალ აღზევებულები ვართ. ჯერ ორი მატჩი ვითამაშეთ და ამაზე საუბარი ნაადრევია. ისე კი გავიგე, რომ ვიღაც-ვიღაცეებს ჩემზე დაუწყიათ ლაპარაკი.

**ძოზა ინასარიძე**




*ალექსანდრე იაშვილმა გერმანელები კარგა ხნის წინათაც აალაპარაკა. „ფრაიბურგ“ — „ლევერკუზენის“ მატჩის შემდეგ კი ყოველკვირეულმა ჟურნალმა „შპორტ ბილდმა“ იაშკაზე ეს დაწერა:*

*იაშვილმა რომ გოლი გაიტანა, ლევერკუზენელებს უდიდესი ბრალი მიუძღვით, მაგრამ მათ ყველაზე დიდი შეცდომა ერთი წლის წინ დაუშვეს — მაშინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბაიერი“ თბილისის „დინამოს“ ხვდებოდა და პირველ მატჩში შინ 6:1 მოუგო. ის მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა ქართველმა იაშვილმა, რომელმაც ულამაზესი გოლიც გაიტანა. კრისტოფ დაუმისგან განსხვავებით, მისი კარგი თამაში არ გამორჩენია ფოლკერ ფინკეს, „ფრაიბურგის“ მწვრთნელს, რომელმაც ნადილი აისრულა და ქართველი თავდამსხმელი გადაიბირა. არც შემცდარა. ოცი წლის იაშვილმა პირველივე ორ ბუნდესლიგურ მატჩში თითო გოლი გაიტანა და თავი ჩინებულად წარმოაჩინა.*

## 3 ტური — მეორე ჯგუფი

### დასავლეთი, „ა“ ქვეჯგუფი

*II ტური:* იბერია 2 — სულორი 2:6, სამგურალი 2 — გაგრა 2:3, ოკეანე — ტორპედო 2 1:0, რიონი — იმერეთი 2:1, მაღაროელი — მარგვეთი 2:2, საირმე — რაჭა 1:0, *ჩიხურა — მეშახტე გადაიდო*

7 სექტემბერი

**მეშახტე 5:2 მაღაროელი**
1:0 კანკია (24), 2:0 ჩუბინიძე (44), 2:1 ლოლაძე (55), 3:1, 4:1 ლომთაძე (59, 66), 5:1 დიმიტრი ჯანელიძე (72), 5:2 პ. შეყილაძე (76)
გაფრთხილება: ხარაიშვილი (მაღაროელი)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**გაგრა 2:0 რიონი**
1:0 ქაშიბაძე (22), 2:0 გოგელიძე (44)
გაფრთხილება: ბარაბაძე (გაგრა), გედენიძე (რიონი)
მსაჯი: ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

**ტორპედო 2 0:0 სამგურალი 2**
გაფრთხილება: გოგოლაძე (ტორპედო 2), მანაგაძე (სამგურალი 2)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

**რაჭა 1:0 იბერია 2**
1:0 კიკვიძე (86)
გაფრთხილება: ნ. გიორგაძე, ტატიშვილი (ორივე იბერია 2)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სულორი 2:0 ოკეანე**

**იმერეთი — ჩიხურა** გადაიდო

8 სექტემბერი

**მარგვეთი 4:0 საირმე**
1:0, 2:0 ქურციკიძე (50, 62), 3:0 გაბრიჭიძე (64), 4:0 ორბელიძე (70)
გაფრთხილება: სირბილაძე (საირმე)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| გაგრა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| მარგვეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 11:2 | 7 |
| სამგურალი 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ტორპედო 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| საირმე | 3 | 1 | 1 | 1 | 1:4 | 4 |
| მეშახტე | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 |
| რიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| რაჭა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| ოკეანე | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| მაღაროელი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| იმერეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ჩიხურა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |
| იბერია 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:10 | 0 |

### დასავლეთი, „ბ“ ქვეჯგუფი

*II ტური:* ღარწყალი — ალგეთი 5:1, ჭაბუკიანი — უნივერსიტეტი 3:1, შავნაბადა — ალაზანი 6:0, სამგორი — აკადემია 1:3, მრეტები — არსენალი 2 1:2, ქანაგკო — დინამო 3 2:3, კახეთი — ყვარელი 1:2

7 სექტემბერი

**ფაზისი 0:0 კოლხეთი**
მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

**სქური 5:0 ბახმარო**
1:0 კვირკვია (6), 2:0, 3:0 ჯოლოხავა (39, 65), 4:0 ქორთუა (82), 5:0 როგავა (88)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**სამეგრელო 1:1 ოდიში 2**
0:1 შედანია (3), 1:1 კოხია (54)
გაფრთხილება: ქარჩავა, თოლორდავა (ორივე სამეგრელო), კაკულია (ოდიში 2)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

**ეგრისი 4:0 სალხინო**
1:0 მიქავა (6), 2:0, 3:0, 4:0 გაბეჩავა (22, 73, 82)
გაფრთხილება: სიგუა (სალხინო), გაბისკირია (ეგრისი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**შუქურა 5:0 კოლხეთი 2**
1:0, 2:0 წოწონავა (25, 29), 3:0 დალალეიშვილი (38), 4:0 წოწონავა (68), 5:0 კაკალაძე (85)
გაფრთხილება: მჟავანაძე (შუქურა)
მსაჯი: ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)

**ენგური 2:0 კოლეჯი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სქური | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| ეგრისი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| სამეგრელო | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| ენგური | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| კოლხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ფაზისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| შუქურა | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| მერცხალი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ბახმარო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:10 | 3 |
| ოდიში 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| კოლეჯი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |
| სალხინო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| კოლხეთი 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:11 | 0 |

### აღმოსავლეთი

*II ტური:* კოლხეთი 2 — ეგრისი 0:2, სალხინო — სამეგრელო 2:3, ოდიში 2 — ენგური 2:2, ბახმარო — ფაზისი 2:0, კოლხეთი — მერცხალი 4:0, კოლეჯი — სქური 1:2

7 სექტემბერი

**არსენალი 2 0:0 სამგორი**
გაფრთხილება: კიღილაძე (სამგორი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ყვარელი 3:0 მრეტები**
1:0, 2:0 ლვინიაშვილი (16, 68), 3:0 ავაზიშვილი (84)
გაფრთხილება: მიქაბერიძე (ყვარელი), მ. ამაშუკელი (მრეტები)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**ხალიბი 0:1 ღარწყალი**
0:1 ომანიშვილი (1)
გაფრთხილება: თაბუკაშვილი (ხალიბი), შალვაშვილი, გელაშვილი (ორივე ღარწყალი)
გაძევება: ბუჯიშვილი (83, ხალიბი)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**უნივერსიტეტი 1:1 კახეთი**
1:0 ვარამიშვილი (63), 1:1 ჭვრიტიძე (75)
გაფრთხილება: ძძიკაშვილი (უნივერსიტეტი), მელოევი (კახეთი)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

**დინამო 3 1:0 ჭაბუკიანი**
1:0 ოლგესაშვილი (86)
გაფრთხილება: ოლგესაშვილი (დინამო 3), ზ. კაპანაძე, პაქსაშვილი (ორივე ჭაბუკიანი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

8 სექტემბერი

**ალაზანი 3:0 ქანაგკო**
1:0 ჯანდაგაშვილი (35), 2:0, 3:0 ბაწაშვილი (65, 69)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**ალგეთი 2:0 შავნაბადა**
1:0 ბარამიძე (80), 2:0 სირაძე (88)
გაფრთხილება: ბარამიძე (ალგეთი), მახათაძე, ხარებაშვილი, გუგუშვილი (ყველა შავნაბადა)
გაძევება: მურადაშვილი (65, ალგეთი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ღარწყალი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| ყვარელი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| არსენალი 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| შავნაბადა | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| აკადემია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| დინამო 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| უნივერსიტეტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ჭაბუკიანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ხალიბი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ალგეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ალაზანი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | 3 |
| კახეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| სამგორი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| მრეტები | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |
| ქანაგკო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:10 | 0 |

### ცენტრი

*II ტური:* საუ — ქარელი 2:0, ცხუმი — ლოკომოტივი 2 1:5, ივერია — იბერია 4:1, მესხეთი — დინამო 2 1:3, განთიადი — ვარძია 7:2, თორი — დილა 2 3:1, ქინერი — ცხინვალი 1:3

7 სექტემბერი

**ლოკომოტივი 2 1:0 ივერია**
1:0 მორჩილაძე (10)
გაფრთხილება: შ. მახარაძე, მორჩილაძე, ავალიანი (ყველა ლოკომოტივი 2), პ. მელაძე (ივერია)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**დილა 2 5:1 ქინერი**
1:0, 2:0, 3:0, 4:0 სულთანიშვილი (10, 18, 30, 46), 4:1 სონღულაშვილი (55), 5:1 ბ. ჩიტაია (57)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**ვარძია 0:2 თორი**
0:1 გ. ციცქიშვილი (40), 0:2 ზარანდია (73)
გაფრთხილება: მოდებაძე, სოლოიანი (ორივე ვარძია), მ. ლომიძე (თორი)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

8 სექტემბერი

**ქარელი 1:0 ცხუმი**
1:0 გოდელაძე (55)
მსაჯი: ე. ურუშაძე (თბილისი)

**ცხინვალი 4:1 საუ**
1:0, 2:0 ტილკავაშვილი (33, 46), 3:0 რ. ცხადაძე (69), 4:0 ბოჭორაძე (70), 4:1 თალაკვაძე (74)
გაფრთხილება: უზნაძე (ცხინვალი), ზ. დავითაშვილი (საუ)
მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

**იბერია 1:0 მესხეთი**

9 სექტემბერი

**დინამო 2 5:0 განთიადი**
1:0 მიქაძე (3), 2:0 ხიზანეიშვილი (6), 3:0 გოცირიძე (63), 4:0, 5:0 მიქაძე (74, 88)
გაფრთხილება: ბერაია (დინამო 2)
მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 3 | 3 | 0 | 0 | 12:2 | 9 |
| ცხინვალი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 9 |
| ივერია | 3 | 2 | 0 | 1 | 10:4 | 6 |
| ლოკომოტივი 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| განთიადი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:8 | 6 |
| ქარელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| თორი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| საუ | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| იბერია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | 6 |
| დილა 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 7:7 | 3 |
| ცხუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |
| მესხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:10 | 0 |
| ქინერი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |
| ვარძია | 3 | 0 | 0 | 3 | 3:13 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში



# რევაზ ჩელებაძე

*ჩემს მაგიდაზე ძველი საფეხბურთო ცნობარები აწყვია. ისინი საგანგებოდ გამოვითხოვე სარედაქციო არქივარიუსთაგან, რათა ძველ, დავიწყებულ სტატისტიკას ჩავუჯდე. ცნობარი სულ თერთმეტია, 1976 წლიდან 1986 წლამდე. თითოეული მათგანი განვლილ სეზონს აღწერს და მეც მაინტერესებს, თუ სად, რამდენი და როგორ ითამაშა ოდინდელი „დინამოს“ განთქმულმა თავდამსხმელმა რევაზ ჩელებაძემ.*

*ხუმრობა საქმე ხომ არ არის? რედაქციამ გადაწყვიტა საბჭოეთის ნაკრებში მოთამაშე ყველა ქართველი ფეხბურთელი გაიხსენოს, ყოველი მათგანი გაახსენოს მკითხველს.*

*მე ჩელე მერგო.*

(2)

# სახალხო ჩელე

ჩელე — სწორედ ასე მოვიხსენიებ აქ, რადგან ჩელე ის კაცი იყო, მეტსახელი რომ დაიმკვიდრა გულშემატკივართა შორის, ასეთები კი ჩვენში ბევრნი არ არიან — თაობაში, ალბათ თითო: ბასა, სიომა... აგერ ახლა კი ძუკუ.

ცნობარებს ვფურცლავ. ნაცნობი, ბავშვობაში წაკითხული ფრაზები: „დაიბადა 1955 წელს... თამაშობდა ბათუმის „დინამოში"... 1976 წლიდან თბილისის „დინამოში"... 1983-84 წლებში კვლავ ბათუმის „დინამოშია"... მომდევნო წლის მიწურულს თბილისის „დინამოში" ბრუნდება... 1986 წელს გაიტანა 10 გოლი..." და ა.შ.

ცნობარები... ცნობარები... ჩელე არ ყოფილა ასიანთა კლუბის წევრი, ყველაზე მეტი გოლი, ექვსი, საბჭოთა გუნდებს შორის ალმაატის „კაირატისთვის" გაუტანია, საბჭოთა ოლიმპიური გუნდის წევრი, მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაო, ქვეყნის ჩემპიონობა, ქვეყნის თასი...

თუმცა, რა დროს ცნობარებია?

ჩელე სახალხო ფეხბურთელი გახლდათ, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ნიუსმეიკერი, ე.ი. ისეთი კაცი, თავისუფალ და ნორმალურ ქვეყანაში რომ მუდმივად გაზეთების პირველ გვერდებზე ჩანს.

როგორი იყო თავიდან? მე მახსოვს მაღალი, მხარბეჭიანი, თმაშეთხელებული, კაუჭა ცხვირით. მოკლედ, კოლორიტული. თამაშითაც მეტად თავისებურად თამაშობდა. მაშინ ოცდაერთი წლისა იქნებოდა და ჭკვიანური გოლები გაჰქონდა. ბიჭებში ხმა დადიოდა, თავიდან კალათბურთელი ყოფილა, ფეხბურთელი მერე გამხდარაო. საერთოდ, ყოველთვის თან სდევდა ხმები, ჭორები, ერთგვარად მხიარული, ექსცენტრიკული განწყობილება. მაშინ ქომაგების სრული უმრავლესობა გუნდთან ახლოს ვერ მივიდოდა, პრესაში თავისუფალი ინფორმაცია არ არსებობდა, ამიტომ ხალხი ჭორებით სულდგმულობდა.

ჩელეს თამაშის მანერა მოულოდნელი რამ იყო მაყურებლისთვის, რა თქმა უნდა, ის არ იყო დიადი, საერთაშორისო სახელიც ვერ დაიგდო, მაგრამ პირადად ჩემთვის ის გამოუცნობ ფეხბურთელად რჩებოდა. ვხვდებოდი, რომ ის ჭკვიანი იყო, თუმცა სათამაშო საშუალებები და ხერხები აურაცხელი არ ჰქონდა. ფინტი, დრიბლინგი და ასეთი რამ ნაკლებად მახსოვს იმ პირველი ჩელესგან. სამაგიეროდ, მახსოვს მაღალი ნახტომი, კარგი თავურები, ბრგე ტანი, ანუ კორპუსით თამაშის ოსტატობა, საჯარიმოს წინა ხაზთან ზურგით დგომა, მკერდზე და ფეხზე მიღებული ბურთი და მოკლე, ნახევარბრუნით შესრულებული პასები. ასეთი მახსოვს ის პირველი ჩელე. პირველი იმიტომ, რომ იყო მეორე ჩელეც...

ის ჭკვიანი მოთამაშე იყო, ყოველთვის ამჩნევდა თავისუფალ ადგილს, ყოველთვის იქით ჭრიდა ბურთს, სადაც წესით პარტნიორი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, რომ ის მახვილგონიერი ფეხბურთელი იყო იმიტომ, რომ ჩვენი კლუბის ისტორიას შემორჩა რაღაც ილეთები და ხერხები, რომლებსაც ედო საფირმო ნიშანი — „ჩელე".

მაგრამ მისი მახვილგონივრება ხშირად ახირებასაც უტოლდებოდა. ის ეგზოტიკური იყო, ეგზოტიკური და ახირებული. აი, მახსოვს ერთი მატჩი ჩვენს სტადიონზე „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორს" შორის. თამაში 1:1 დასრულდა. დონეცკელების ადრიან გოლს ჩვენებმა ფირუზ კანთელაძის პენალტით უპასუხეს. ჩელე მოედანზე იყო, თავის საყვარელ პოზიციაზე იდგა კარისკენ ზურგით, ბურთს ძალიან ხშირად იღებდა, დაამუშავებდა, თუ ერთი შეხებით გადაუგდებდა სხვას, შედეგი არაზუსტი იყო, საკვირველი კი ის იყო, რომ ბურთის ყოველი მიღებისას, ან ძალიან ხშირად, ის ცდილობდა პასი ქუსლით მიეწოდებინა. ყოველ ჯერზე ცდილობდა და აკეთებდა კიდეც ამას, მაგრამ ხან თვითონ ცდებოდა და ხანაც პარტნიორი ვერ უხვდებოდა. ის კი ჯიუტად აკეთებდა ამას — ასე ჩაიბეჭდა ჩემს ბიჭურ მეხსიერებაში — საინტერესო ვინმეა, მაგრამ ახირებული.

მაგრამ მანამდე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი რამ მოხდა.

ოცდაორი წლის წინათ, 1976 წლის 3 სექტემბერს თბილისის „დინამომ", საბჭოთა თასის გათამაშების ლამის მარადიულმა, მარად ჩაგრულმა, ან უიღბლო ფინალისტმა ნავსი გატეხა — პირველად მოიგო ეს თასი ერევნის „არარატის" 3:0 დამარცხებით. „დინამოსთვის" ეს შემობრუნების წამი იყო — ორმა ახალგაზრდამ — ჩელემ და ალექსანდრე ჩივაძემ სამაგალითოდ ითამაშა. შეხვედრის პირველი გოლი სანახევროდ ჩელეს იყო — ეს მან დასვა ბურთი ყიფიანს. მერე ჩელემ თავადაც გაიტანა. ეს ის შემთხვევა იყო, როცა მთელმა გუნდმა, მანუჩარ მაჩაიძის მეთაურობით, ძალიან კარგად ითამაშა, თორემ ნამდვილად ასე ვიტყოდით — ის ფინალი ჩელემ მოიგო. დიახ, ჩელეს გოლები გაჰქონდა, თან საკმაოდ ბევრიც. გულშემატკივარს კი მაინც მეტად თავისებური მიდგომა ჰქონდა. ჩელეს მოულოდნელი იერი, მისი მახვილგონიერი, ახირებული თამაში ხალხის გულში ორმხრივ ფიქრებს იწვევდა. აი, მაგალითად, იყო ასეთი ჭორი ბიჭებს შორის: ბათუმში ჩელეს ორი შეძლებული ბიძა ჰყავს, თითო გოლზე თითო ბიძა ას მანეთს ჩუქნის და ჩელეც ამიტომ იკლავს თავსო. ეს სულელური, არასაფეხბურთო ახსნა იყო. თითქოს, გულშემატკივრის არეულ ფიქრს სურდა, ჩელეს საფეხბურთო წარმატება არასაფეხბურთო გზით აეხსნა. ამაში ჩელეს თამაშის „მანერა", მისი საფეხბურთო იერი და უკვე ჩამოყალიბებული იმიჯი იყო დამნაშავე.

1977 წლის სეზონის გახსნით თამაშში ჩელე მოედანზე არ იყო. მეთერთმეტე ნომრად ოცი წლის ქუთაისელი რამაზ შენგელია ვიხილეთ. მან დუბლი გაუკეთა „კრილია სოვეტოვს" და „დინამომ" 4:2 მოიგო. ადგილი ძირითადში დაჯავშნული აღარ იყო. შენგელიას ბურთის კარში შეგდების საოცარი უნარი ჰქონდა. ის ძალიან ბასრი იყო. ჩელე აღარ იყო ძირითადის უპირობო წევრი, მაგრამ ჩელე არ იყო უბრალოდ ვიღაც, ის ყოველთვის საჭირო იყო და ხშირადაც თამაშობდა. სხვა თავდამსხმელთა ტრავმების დროსაც და ისეც. კვლავ გაჰქონდა, კვლავ ახალისებდა ხალხს თავისი ახირებული და საზრიანი მანერით. თუ შეცვლაზე შემოვიდოდა, ყოველთვის მეცამეტე ნომერი იყო, თავის განიერ ბეჭებს აათამაშებდა და ისე შემოაბიჯებდა მოედანზე ამ თარსი „ნომრით".

ხალხი ყოველთვის ხალისიანი შეძახილით ეგებებოდა. რას აღარ მოიგონებდნენ, ჩელე-პელეო, ესაო, ისაო, ერთხელ ვიღაცამ ჩელინიოც კი დაუძახა, აქაოდა, ჩვენი ბრაზილიელიაო.

ჩელე ერთადერთი იყო 1978 წელს გაჩემპიონებულ თბილისის „დინამოში", ოქროს ორი მედალი რომ მოიგო, დუბლისა და ძირითადისა. ესეც მისი ახირებული განსაკუთრებულობის დასტური იყო.

სხვისი არ ვიცი და, მე კი, ერთი გიმნაზიელი გულშემატკივარი ყოველთვის ველოდი მას. დიდად ვერ ვუფიქრდებოდი რატომ, მაგრამ მომწონდა, მიხაროდა და იმედს მმატებდა. თავში დავწერე, ჩელესგან ფინტები და დრიბლინგი ნაკლებად მახსოვს-მეთქი. სისულელეა. ის ფანტაზიორი იყო, ძალიან თავისებური რამეების კეთება შეეძლო. ყველა დასამახსოვრებელ მომენტს მის კარიერაში მეტნაკლებად ჰქონდა შოუს იერი. მაგრამ ისე, რომ საერთოდ არ ჰქონოდა, არ ყოფილა.

ერთი სეზონიც დაიწყო და ჩელემ ახალი რამ აჩუქა ხალხს — ჩელეს პენალტი. მან შეძლო თამაშის უაღრესად საპასუხისმგებლო წამი, პენალტის დარტყმის მომენტი, სანერვიულო, თავშისაცემი და სულისშემძვრელი, გასართობად ექცია. ძველებმა მოიგონეს, ასეთ პენალტს მიშა ბერძენიშვილი ურტყამდაო. თუმცა, ამ შემთხვევაში დარტყმა სულაც არ არის საჭირო ტერმინი: მეკარე ერთ კუთხეში მიფრინავდა, ბურთი კი მეორე კუთხისკენ მიგორავდა. მიგორავდა და ბოლოს გადაგორდებოდა კარის ხაზზე. ჩელე კი თითის აწევით გვაჩვენებდა — გავიტანეო.

გაუფუჭებია ასეთი პენალტიც, თუ არ ვცდები, პირველად უფროსმა ჩანოვმა აული ფეხით. სხვა მხარეს გადახტა, მაგრამ თავისი გამოგონებით გათამამებულ ჩელეს ბურთი კუთხისკენ აღარ გაუშვია, უფრო შუისკენ მისცა გეზი.

ეს პენალტები დღემდე დაუვიწყარია, როგორც კი ჩელეს ახსენებ, იქ პენალტსაც მოიგონებენ. ისევე, როგორც იმ დაუვიწყარ წამს, როცა ჩელემ „არარატს" ვერ გაუტანა. თუმცა, კვლავ არასწორად ვამბობ, იმიტომ, რომ იმხანად ეს შემთხვევა საუკუნის „გამაზვად" აღიქვეს და ჩელეს, სერიოზულ და საიმედო ფეხბურთელად აღქმას, ამან დიდად შეუშალა ხელი.

ამბავი ერევანში იყო, ცხელი ზაფხულის საღამოს, ანგარიში — 1:1. „დინამო" აგებდა და გაათანაბრა. სომეხთა მეკარე ალიოშა აბრამიანი უაზროდ გამოიჭრა საჯარიმოს გარეთ, ბურთს ფეხი აუქნია და ისე კი მოხდა, რომ თავად გაიშხლართა, ის ოხერი ბურთი კი შორიახლოს ჩასაფრებულ ჩელეს მოუვიდა. ჩელეს წინ იყო ცარიელი მინდორი და კარი. ჩელე დაიძრა, მაგრამ რაღაც იდუმალი ძალით (არ ვიცი კარი დაკარგა, მოუქნელობის გამო ნაბიჯის მიმართულება სულ ოდნავ ვერ შეცვალა თუ რა), ბურთი კარს ააცილა. დაარტყა მოუხერხებლად, უაზროდ. მანამდე გაიქცა კიდევ უფრო უარესად...

ეს „გამაზვა" ხალხში სალაპარაკო შეიქნა. ერთნი რისხვას ატეხდნენ ჩელეს, როგორც „დამღუპველს", მეორენი ამართლებდნენ, თამაში ფრეზე იყო შეთანხმებული და არ უნდა გაეტანაო. ასე იყო თუ ისე, ეს შემთხვევა ჩელეს არ დახმარებია. საკვირველია სწორედ, რაც დინამოელებს ბურთები აუცილებიათ კარის წინიდან. ერთხელ თენგიზ სულაქველიძემ კარის ხაზიდან ზედა ძელს გადააცილა ბურთი. მაგრამ არაფერი. განა ჭომასგან გოლებს ითხოვდნენ? მას სხვა რამისთვის სცემდნენ პატივს. ანდა, რაც შენგელიას აუცილებია, მაგრამ მან იმდენი გაიტანა, რომ ქართული ფეხბურთის უპირველეს მეგოლედ შეიქნა. ჩელე კი... ის, რაც ადრე ღიმილის მომგვრელი იყო, რაც ხალხს ახალისებდა მის თამაშში, ხშირიად გამაღიზიანებელი შეიქნებოდა ხოლმე.

ჩელე კვლავ თამაშობდა...

ჩემს მაგიდაზე დახვავებულ ცნობარებს შორის ერთს „გზა თასისკენ" ჰქვია. იგი თასთა თასისკენ თბილისელთა სვლას აღწერს. ყდაზე გამარჯვებული გუნდია. გაღიმებულ ვარსკვლავებს შორის ჩელე არ არის. არ უთამაშია არც „ვესტ ჰემთან", არც „ფეიენოორდთან", არც დიუსელდორფში ყოფილა. ახლა აღარ მახსოვს, მაგრამ ტრავმის ბრალი არ უნდა ყოფილიყო. ჩვენებრ რიგით, ნამდვილ ამბავს დაშორებულ ბალეშიკ ბიჭებს შორის ხმა დადიოდა, ჩელეს ახალკაცთან ჰქონია უთანხმოება თავისი ენაკვიმატობის გამო და ამიტომაც დაიკარგაო. არადა, შემოდგომაზე ითამაშა, იმ თასების თასზე გოლიც გაიტანა...

ასე იკარგებოდა ნელ-ნელა დიდი „დინამო", ინგრეოდა, კვდებოდა. აგებდა და აგებდა.

ერთი ამბავიც მახსოვს, „დინამოს" მმართველმა წრეებმა საქმის გარჩევა მოუწყვეს. ფეხბურთელები მკაცრად გააკრიტიკეს და გაზეთებშიაც გაშუქდა შესაბამისი სულისკვეთებით. ეს ამბავი მოგვიანებით იყო, მაგრამ სამუდამოდ დამამახსოვრდა, რომ ჩელეს აკრიტიკებდნენ, ისიც კი არ ახსოვს, რამდენი მანქანა ჰყოლიაო. ეს რა, სამშობლოს ჰიმნი იყო? რატომ უნდა ხსომებოდა...

ასეთი იყო ცხოვრება. ჩელე კი წავიდა. სად? მშობლიურ მხარეში. უმაღლესი ლიგიდან მეორე ლიგაში, მეცხრე ზონაში, სადაც საფეხბურთო ჭაპანსა სწევდა ბათუმის „დინამო". და ჩელემ აქ კვალი დატოვა, ბათუმელებმა იმდენი მოახერხეს, რომ პირველი ლიგის გადასასვლელ თამაშებში ჩაერთნენ. ბოლო მატჩი „კრილია სოვეტოვის" წინააღმდეგ ბათუმშია. „დინამომ" უნდა მოიგოს და პირველ ლიგაშია. კოკისპირულად წვიმს, მოედანი კი არა, ტბაა, ახლო წარსულის სახალისო პენალტის შემოქმედი ბურთს ნიშნულზე დებს. გამორბის, ურტყამს... მას ძველებურად არ დაურტყამს, ჩვეულებრივად დაარტყა და ვერ გაიტანა. მახსოვს, როგორ ჩაემხო ტალახში, ძლივს წამოაყენეს... და ბათუმელებმა მაინც მოიგეს, საგზურიც მოიპოვეს...

თავიდან პირველი ჩელე ვახსენე. ეგებ აღარავინ ელოდა, მაგრამ ჩელე კვლავ გამოჩნდა „დინამოში". 1985 წლის მიწურულს გუნდს კვლავ ახალკაცი ჩაუყენეს სათავეში. „დინამო" მაშინ აღარაფერი იყო. მას გადარჩენისთვის უნდა ებრძოლა. გადარჩენა — აი, ამოცანა.

მე კარგად მახსოვს ის საღამო, იმიტომ, რომ სტადიონიდან კიროვის პარკში წავედი. „დინამო" „სპარტაკთან" აგებდა თბილისში. აგებდა 0:1 და ჩვენ წაგებას შეჩვეულნი ვიყავით. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა გვიგებდა. და სარბენ ბილიკზე გამოჩნდა ჩელე. მერე კი გამარჯვება — 2:1. სიხარული დიდი იყო. პარკში ავედით, სუსხი იყო, ახალკაცის ერთი ოპონენტი ამბობდა ამ შეცვლის გამო, ბარემ ჰოკეისავით „ტროიკები" გამართოსო (ახალკაცმა წყვილი შეცვლა გააკეთა). მე გახარებული ვიყავი, ბოლოს და ბოლოს, მოვიგეთ, თანაც, შინაგანად ვგრძნობდი, რომ ჩელე შეცვლილიყო. მშვენივრად ანაწილებდა ბურთს, ორთაბრძოლებს იგებდა, შორიდან ურტყამდა. იმ პატარა, საზოგადოდ არცთუ სადარდებელ, „დინამოსთვის" კი მეტად მნიშვნელოვან ამბავში ჩელე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. აბა, როგორ არ გავიხსენოთ მისი ორი გოლი, კიევში რომ გაუტანა იმ „დინამოს", იგივ სსრკ-ის ნაკრებს. ორი ძალიან მოხდენილი გოლი. ჩვენებმა 3:1 მოიგეს კიევში. ასეთი რამ კი ბოლო ოცდაათ წელიწადში აბა რამდენჯერ მომხდარა. 3:1 ჩვენი იყო.

ლეგენდაც იყო მაშინ: ზავაროვმა უთხრა ჩვენებს, თუ გინდათ, ორი მეკარე დააყენეთო და ამან გაამხეცაო. სხვასაც ამბობდნენ, შეთანხმებული იყოო. არ ვიცი, რა იყო, მაგრამ ყოველდღე რომ მაყურებინო ჩემპიონთა ლიგას, ის ორი გოლი მაინც არ დამავიწყდება.

ჩელეს ცუდ დროს მოუწია დაბრუნებამ. იმ „დინამოს" ერთი მიზანი ჰქონდა — გადარჩენა. გადარჩენის სულისკვეთებით მოთამაშე გუნდი კი, აბა, რა უნდა იყოს?

მერე ჩელე წავიდა. ისე წავიდა, როგორც მისი თაობის დინამოელთა სრული უმრავლესობა, გაცილებისა და ტაშის გარეშე.

მე კი ვიხსენებ ჩელეს. არც ცნობარები მომიხმარია, არც თავად მისი ძებნა მიცდია. როგორღაც ისე გამოვიდა, რომ ყოველგვარი თარიღის გარეშე, მეხსიერებაში ჩარჩენილი ამბებიდან შევაკოწიწე ეს წერილი. ეს სახალხო ამბებია, ეგებ მათი უმრავლესობა არც არის მართალი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ჩელე სახალხო ფეხბურთელი იყო, რაღაც კუთხით მას ვარსკვლავიც ეთქმოდა ჩვენს ფეხბურთში. ძალიან ხშირად ის თავის მახვილგონიერ გამონაგონს სთავაზობდა ხალხს. ზოგჯერ გამოსდიოდა, ზოგჯერ არა. მაგრამ მაინც მგონია, რა ხასიათი უნდა გქონდეს კაცს, ტვინი როგორ უნდა გიმუშავებდეს, რომ პენალტი ღიმილის, გართობის საშუალება აქციო.

ეს ისე, უბრალოდ არ ხდება ხოლმე.

არც ჩელესნაირი დაბრუნება ხდება შემთხვევით.

იყო ფეხბურთელი, ჰქონდა ტიტულები, ითამაშა „მარაკანაზე" და სხვაგანაც. რაც ითამაშა, გვახსოვს. ის არ გახლდათ ისეთი მოთამაშე, ჯილდოებით, ტიტულებით და თასებით რომ ახსოვთ. მგონია, ესეც არ არის შემთხვევითი რამ. ის სახალხო მოთამაშე იყო — ხან ცხრა, ხან თერთმეტი, ხანაც ცამეტი ნომერი. ყოველთვის ჩელე იყო — მაყურებელი გამოცოცხლდებოდა, როცა დაინახავდა ხოლმე.

**ირაკლი გამყრელიძე**



ჩელე თბილისში, „არარატის" წინააღმდეგ — კვლავ უიღბლოდ, ბურთი მეკარემ დაიჭირა

# ფოგთსი და ოცი კოლეგა

ბერტი ფოგთსის გერმანიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, მის უმთავრეს მემკვიდრედ იუპ ჰაინკესს მიიჩნევდნენ. ჰაინკესის კანდიდატურა მართლაც ერთობ შესაფერისი გახლდათ, ვინაიდან გარდა განსწავლულობისა, ამ მწვრთნელის პლუსი ისიც იყო, რომ სადღეისოდ იგი უმუშევარია, მაგრამ...

— სამწუხაროდ იძულებული ვარ ნაკრების მწვრთნელის პოსტზე უარი განვაცხადო, რაც პირადი მოტივებითაა განპირობებული — განაცხადა მადრიდის „რეალის“ გადამდგარმა თავკაცმა.

პირადი მოტივების შესახებ მას სიტყვა აღარ გაუგრძელებია, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ორშაბათს ჰაინკესმა მეუღლე აირისი საავადმყოფოში დააწვინა.

იუპ ჰაინკესის კანდიდატურას მხარს ფოგთსის წინამორბედი, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთელი და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერიც უჭერდა.

ახლა, როდესაც გაირკვა, რომ მთავარი კანდიდატი თანამდებობაზე უარს აცხადებს, ყურადღებამ დანარჩენ ფავორიტებზე გადაინაცვლა. ყველაზე სავარაუდოა, რომ გერმანიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნავენ კრისტოფ დაუმს, ოტმარ ჰიცფელდს ან ოტო რეჰაგელს.

სხვათაშორის გუშინ ფოგთსის მიერ დატოვებული თანამდებობის დაკავების სურვილი გამოთქვა გერმანიის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ, გერმანიის, შვეიცარიის და ესპანეთის კლუბებში მწვრთნელად ნამუშევარმა ული შტილიკემაც.

გადამდგარი ბერტი ფოგთსი კი ამასობაში გულისწყრომას გამოთქვამს.

— სახლში ვარ ჩაკეტილი, გარეთ ვერ გავდივარ. ჩემი ვაჟი იუსტინიც შინაა, სკოლაშიც კი ვერ დადის. განა ამას ცხოვრება ჰქვია? — განუცხადა მან გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგს“.

ფოგთსმა მეუღლესთან, მონიკასთან ხანგრძლივი კონსულტაციის შემდეგ ყურმილი აიღო, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს ეგდიუს ბრაუნს დაუკავშირდა და თანამდებობიდან გადადგომა სთხოვა.

— ძალიან რთული დრო მიდგას. პირადად ჩემს მიმართ უამრავი შენიშვნა გამოითქვა, ამიტომაც მე, როგორც თავმოყვარე ადამიანს, საკუთარი ღირსების დაცვა მომიხდა — განაგრძო ფოგთსმა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ხორვატიასთან 0:3 დამარცხების შემდეგ აწ უკვე გადამდგარ ბუნდესმწვრთნელს უდიდესი და შეუნელებელი კრიტიკა დაატყდა თავს, რამაც მასზე ისე იმოქმედა, რომ გადაწყვიტა ფეხბურთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტოს.

— აღარც მწვრთნელად ვიმუშავებ და აღარც მენეჯერად. თავისუფლება და მშვიდად ცხოვრება მიჯობს. ვერც კი წარმოიდგენთ ჩემს განცდებს. 19 წელიწადი საფეხბურთო კავშირთან თანამშრომლობაში გავატარე და აი, რითი დამთავრდა ყველაფერი. საოცრად იმედგაცრუებული ვარ.

ორშაბათ საღამოს ფოგთსმა პოლიციაში დარეკა და დაცვა სთხოვა. სიტუაცია მართლაც დაძაბული გახლდათ, მიონხენგლადბახის მახლობლად, კროშენბროიხში მისი სახლი გულშემატკივრებითა და ჟურნალისტებით იყო ალყაშემორტყმული.

— ხალხს ასე დაუნდობლად არ უნდა ექცეოდნენ. საღამოს 10 საათზეც კი ჩემს კართან სულ მცირე ათი ტელეკამერაა ჩასაფრებული.

დიახ, წინამორბედისგან, ბეკენბაუერისგან განსხვავებით ფოგთსს სიმწარე ხვდა. გასულ შაბათს მალტაში ჩატარებული ორი ამხანაგური მატჩის შემდეგ მართლაც ძნელი იქნებოდა გაზეთების გადაფურცვლა.

„როდემდე ბერტი?“ — დიდრონი ასოებით კითხულობდა პირველ გვერდზე დიდტირაჟიანი „ბილდი“.

„ბერტი, გთხოვთ წადი!“ — წერდა პოპულარული ტაბლოიდი „ექსპრესი“.

არადა, ფოგთსის ხელმძღვანელობით ნათამაშევი 102 შეხვედრიდან გერმანელთა ეროვნულმა გუნდმა მხოლოდ 12 წააგო, მაგრამ ყველაფერი ხორვატებთან ნაწვნევმა 0:3-მა გადაყარა წყალში.

ბერტი ფოგთსს გერმანიის საფეხბურთო კავშირთან 2000 წლამდე ჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული. ამრიგად იგი გახდა ქვეყნის ისტორიაში მეორე, ვინც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გაანთავისუფლეს თანამდებობიდან. პირველი იუპ დერვალი გახლდათ. იგი 1984 წლის ევროპის პირველობაზე გუნდის უსახური თამაშის გამო დაემშვიდობა თანამდებობას.

— ბერტი ფოგთსი მეტისმეტად დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცა და ამიტომ მისი ნაკრების მწვრთნელად დარჩენა შეუძლებელი გახდა — განაცხადა საფეხბურთო კავშირის პრესატაშემ ვოლფგანგ ნიერსბახმა.

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის გადადგომა დაემთხვა მისი ბულგარელი კოლეგის ხრისტო ბონევის გადადგომას. მოგეხსენებათ ორივენი მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელმძღვანელობდნენ თავიანთ ეროვნულ ნაკრებებს.

თუ საფრანგეთი 98-ის მონაწილე 32 გუნდის მწვრთნელის ბედით დავინტერესდებით, ვნახავთ, რომ 21 მათგანი უკვე ჩამოშორებულია საქმეს.

**მიხეილ სურგულაძე**



მიონხენგლადბახში იდგა... დგას ბრინჯაოს სკულპტურული კომპოზიცია, რომელსაც ფოტოზე გულშემატკივარი ტომას ლუდვიგი შესცქერის. ადგილს რომელსაც ლუდვიგი მიშტერებია, ოდესღაც ბერტი ფოგთსის თავი ამშვენებდა, რადგან ტანი სწორედ ფოგთსისაა. მერე ვიღაც გაბრაზდა და...

| | | |
|---|---|---|
| არგენტინა | დანიელ პასარელა | შეცვალა მარსელო ბიელსამ |
| ბრაზილია | მარიო ზაგალო | შეცვალა ვანდერლეი ლუქსემბურგომ |
| კამერუნი | კლოდ ლე რუა | |
| კოლუმბია | ერნან დარიო გომესი | |
| გერმანია | ბერტი ფოგთსი | |
| საფრანგეთი | ემე ჟაკე | შეცვალა როჟე ლემერმა |
| ირანი | ჯალალ თალები | შეცვალა მანსერ ფურეიდარიმ |
| იტალია | ჩეზარე მალდინი | შეცვალა დინო ძოფმა |
| იაპონია | ტაკეში ოკადა | |
| ჰოლანდია | გუს ჰიდინკი | შეცვალა ფრანკ რაიკაარდმა |
| ნიგერია | ბორა მილუტინოვიჩი | შეცვალა ტიის ლიბრეგტსმა |
| ნორვეგია | ეგილ ოლსენი | შეცვალა ნილს იოჰან სემბმა |
| პარაგვაი | პაულუ სეზარ კარპეჯიანი | |
| რუმინეთი | ანგელ იორდანესკუ | შეცვალა ვიქტორ პიტურჩამ |
| საუდეთი | კარლოს ალბერტო პარეირა | შეცვალა ოტო ფისტერმა |
| სამხრეთიაფრიკა | ფილიპ ტრუსიე | |
| კორეა | ბუმ კუნ ჩა | შეცვალა კიმ მუნგ სეოკმა |
| ტუნისი | ჰენრი კასპერჩაკი | შეცვალა ფრანჩესკო სკოლიომ |
| აშშ | სტივ სემპსონი | |
| იუგოსლავია | სლობოდან სანტრაჩი | შეცვალა მილან ზივადინოვიჩმა |
| ბულგარეთი | ხრისტო ბონევი | |

თანამდებობაზე დარჩნენ: გლენ ჰოდლი (ინგლისი), რენე სიმოეში (იამაიკა), მანუელ ლაპუენტე (მექსიკა), ხავიერ კლემენტე (ესპანეთი), ანრი მიშელი (მაროკო), კრეიგ ბრაუნ (შოტლანდია), ჟორჟ ლიკენსი (ბელგია), ჰერბერტ პროჰაზკა (ავსტრია), ბო იუჰანსონი (დანია), მიროსლავ ბლაჟევიჩი (ხორვატია), ნელსონ აკოსტა (ჩილე)

ნიგერიის ეროვნულ გუნდს დღეიდან ახალი თავკაცი, ჰოლანდიელი სპეციალისტი ტიის ლიბრეგტსი ჩაუდგება სათავეში. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელთა განცხადებით, გუნდსა და მწვრთნელს შორის ოთხწლიანი ხელშეკრულება გაფორმდება. „ლიბრეგტსი დღეს ჩამოფრინდება და კონტრაქტსაც საბოლოოდ მოეწერება ხელი“ — აღნიშნა ასოციაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აბდულმუმინი ამინუმ.

## სუპერარწივებს ლიბრეგტსი ააფრენს

შეგახსენებთ, რომ აფრიკელები მას შემდეგ არიან უმწვრთნელოდ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალურ მატჩში დანიის ნაკრებთან სამარცხვინოდ, 1:4 წაგებული მატჩის მერე თანამდებობიდან ცნობილი სერბი სპეციალისტი ბორა მილუტინოვიჩი გაათავისუფლეს.

რაც შეეხება 57 წლის ლიბრეგტს, რომელიც წარსულში ჰოლანდიის ნაკრებს წვრთნიდა, მას ნიგერიაში დიდი იმედებით ელიან. კერძოდ, იმავე ამინუმ განაცხადა — „ჩვენ გვჯერა მისი და ვიცით, რომ მისი ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მივაღწევთ. ლიბრეგტსი დიდი მწვრთნელია“.

ახლა, როდესაც კონტრაქტი უკვე თითქმის გაფორმებულია (ფინანსური დეტალების გამხელა არც ერთ მხარეს არ სურს), „სუპერარწივების“ ახალი დამრიგებლის მთავარი ამოცანა გუნდის აფრიკის თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე გაყვანაა. ეს ტურნირი 2000 წელს ზიმბაბვეში გაიმართება, ხოლო შესარჩევი ციკლის პირველ შეხვედრაში ნიგერიელები 4 ოქტომბერს ბურკინა ფასოს ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან.

# დააბრუნებს ბიელსა რედონდოს?

გუშინ არგენტინის ეროვნულ გუნდს მარსელო ბიელსა ოფიციალურად ჩაუდგა სათავეში. მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ჰოლანდიის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ, რასაც გუნდის მაშინდელი თავკაცის დანიელ პასარელას გადადგომა მოჰყვა, სამხრეთამერიკელები უპატრონოდ იყვნენ. არგენტინის ფეხბურთის ასოციაციამ ბიელსას კანდიდატურა ბარსელონურ „ესპანიოლთან“ მოლაპარაკების დასრულების შემდეგ დაამტკიცა. ესპანურ კლუბს იგი მხოლოდ ორი თვის განმავლობაში წვრთნიდა. „დღესდღეობით უბედნიერესი კაცი ვარ და ძლიერ მეამაყება, რომ ჩემი ქვეყნის პირველ გუნდს უნდა ვუხელმძღვანელო“ — აღნიშნა ბიელსამ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

არგენტინელთა ახალდანიშნული მწვრთნელის მარჯვენა ხელი მომავალში ხოსე პეკერმანი იქნება, კაცი, რომლის თავკაცობითაც ამ ქვეყნის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ორჯერ მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის ტიტული. პეკერმანის ძირითადი მოვალეობა სელექციური საკითხების წარმართვა იქნება.

არგენტინულ საფეხბურთო წრეებში უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ბიელსა ყურადღებას აღარ მიაქცევს ფეხბურთელთა თმის ვარცხნილობასა და სექსუალურ ორიენტაციას, რის გამოც პასარელამ გუნდიდან რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაითხოვა და კრიტიკის ქარცეცხლშიც მოჰყვა. ადგილობრივი პრესა ირწმუნება, პირველი, რასაც ბიელსა გააკეთებს, მადრიდის „რეალის“ გამოცდილი საყრდენი ნახევარმცველის ფერნანდო რედონდოს გუნდში დაბრუნება იქნებაო. როგორც გახსოვთ, ეს უკანასკნელი პასარელას თავკაცობით ნაკრებში თამაშზე უარს ამბობდა.

რაც შეეხება მარსელო ბიელსას წარსულს, იგი არცთუ შთამბეჭდავია. მისი პროფესიული საფეხბურთო კარიერა არგენტინულ „ნეველს ოლდ ბოისში“ ჩატარებული ოთხი მატჩით შემოიფარგლება. შედარებით წარმატებული გამოდგა ის პერიოდი, როცა იგი მწვრთნელად მუშაობდა: იმავე „ნეველს ოლდ ბოისს“ ზედიზედ სამჯერ — 1990, 1991 და 1992 წლებში არგენტინის ჩემპიონატში გაამარჯვებინა, ხოლო შარშან უკვე „ველეს სარსფილდი“ აქცია ქვეყანაში უძლიერესად.

# ნიჭი, რამდენიც გინდა

იტალიის ჩემპიონატი ახლოვდება, ალბერტო ძაკერონი კი ხვდება, რომ „მილანის“ გაძღოლა უძნელესი საქმეა. „მილანი“ ხომ განსაკუთრებული გუნდია, მის გულშემატკივრებს თანდათან მიღწეული არაფერი უნდათ. ყველაფერი ერთბაშად — აი, მოთხოვნა, რომელსაც ძაკერონი აწყდება.

ამასობაში კი მილანელები ქვეყნის თასზე ტურინში „ტორინოსთან“ დამარცხდნენ — 0:2. წინ საპასუხო შეხვედრაა.

— ჩემპიონატის დაწყებამდე ორიოდ დღით ადრე აშკარად გამოჩნდა, რომ ყველაფერში ჩამოვრჩებით — თქვა თამაშის მერე მწვრთნელმა, რომელიც პრესტიჟულ „მილანში“ პროვინციული „უდინეზედან“ გადავიდა.

ძაკერონი უდინედან იტალიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის ბრწყინვალე კლუბში ამ კლუბის მეპატრონემ, იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, მასმედიის გიგანტმა სილვიო ბერლუსკონიმ იმ იმედით გადაიყვანა, რომ „მილანი“ მალე აღიდგენს დიდების დღეებს და კვლავ ამაღლდება ქვეყნის ზედიზედ ხუთგზის ჩემპიონობასა და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელობამდე.

დიდების დღენი ორი სეზონის წინ დასრულდა. მას მერე დიდი გუნდის აჩრდილი მე-11 და მე-10 ადგილზე გავიდა იტალიის ჩემპიონატში. ბუნებრივია, მან ვერც ევროთასებზე გამსვლელი ადგილი მოიპოვა.

ამრიგად, ძაკერონის ამოცანა გახლავთ ის, რაც ვერ შეძლეს ფაბიო კაპელომ, არიგო საკიმ და ურუგვაელმა ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა. მან დაუყოვნებლივ უნდა შეაზავოს ძველი და ახალი მოთამაშეების ნიჭი და თვალისმომჭრელ შედეგს მიაღწიოს.

იმ, დიდი „მილანიდან“ შავ-წითლებს შემორჩნენ „სკუადრა აძურას“ კაპიტანი პაოლო მალდინი, ხორვატიის ნაკრების კაპიტანი ზვონიმირ ბობანი, დემეტრიო ალბერტინი და ალესანდრო კოსტაკურტა. დღეს მათ მხარდამხარ თამაშობენ გერმანელი ოლივერ ბირჰოფი, არგენტინელი ფორვარდი ანდრეს ხულიემინპიეტრო, გერმანელი მეკარე იენს ლემანი, არგენტინელი მცველი რობერტო აიალა, ფრანგი მცველი ბრუნო ნგოტი და დანიელი თომას ჰელვეგი.



ალბერტო ძაკერონის „მილანის“ მწვრთნელობა ადვილი ეგონა, მაგრამ...

ჩამოთვლილთა გარდა გუნდში არიან ის მოთამაშეები, რომლებიც ბრწყინვალე ეპოქის მონაწილენი არ გახლდნენ, მაგრამ არც მთლად ახალმოსულნი და თან საკმაოდ ცნობილნი არიან: ლიბერიელი ჟორჟ ვეა, ბრაზილიელები ანდრე კრუზი და ლეონარდო და ფრანგი იბრაჰიმ ბა.

მოკლედ ძაკერონი ნიჭიერ ფეხბურთელთა სიმწირეს ნამდვილად არ განიცდის.

— ისინი ყველანი მაღალი კლასის ოსტატები არიან. მათ ახალ მწვრთნელს უბრალოდ საგანგებო სტიმულის მოძებნალა სჭირდება — ამბობდა ძაკერონი ერთი თვის წინ.

„მილანის“ ახალი თავკაცი საფეხბურთო პედაგოგობას 1982 წლიდან შეუდგა. მან მესამე დივიზიონის „ჩეზენატიკოს“ ახალგაზრდულ გუნდში დაიწყო სამწვრთნელო კარიერა, შემდეგ მუშაობდა ქვედა ლიგებისა და სამოყვარულო გუნდებში: „რიკიონეში“, „სან ლაძაროში“, „ბარაკაში“, „ვენეციასა“ და „კოზენცაში“. 1995 წელს მას სერია A-ში გადასვლის ბედნიერება ხვდა წილად — „უდინეზეში“ მიიწვიეს.

მაშინ „უდინეზე“ ლიგიდან გავარდნის კანდიდატი იყო, მაგრამ ძაკერონის ხელში 1997 წელს გუნდი მეხუთე ადგილზე გავიდა, 1998 წელს კი მესამეზე და პირველად ისტორიაში ევროტურნირებზე თამაშის უფლება მოიპოვა.

„უდინეზეს“ წარმატების საიდუმლოდ ბევრი ძაკერონისეულ სამკაციან თავდასხმას მიიჩნევს. ამ სამეულიდან ორი ბირჰოფი და ჰელვეგი გახდნენ, ფეხბურთელები, რომლებიც მწვრთნელმა „მილანში“ წაიყოლა.

დღეს ძაკერონი იმედოვნებს, რომ „ტორინოსთან“ წაგება შემთხვევითი იყო, ხოლო როდესაც განახლებულ „მილანს“ კბილები ამოუვა...

**ბედი ეგნიუ, როიტერი**

## ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთისა** და ისლანდიის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრის შემდეგ ლონდონის „არსენალის" ფორვარდმა, ნიკოლას ანელკამ ჟურნალისტებთან საუბრისას თავისი თანაგუნდელები, ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელები მარკ ოვერმარსი და დენის ბერხკამპი გააკრიტიკა. მისი თქმით, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ისინი მას პასებს მეტად იშვიათად აძლევენ, რაც მატჩების მსვლელობასა და შედეგზე უარყოფითად მოქმედებს. თუმცა ამის შემდგომ ანელკამ ერთ-ერთი ლონდონური გაზეთის საშუალებით გამწვავებული ვითარების შერბილება სცადა და განაცხადა: „ეს ყველაფერი ხუმრობა იყო. როდესაც ვთქვი, ოვერმარსი ბერხკამპს უფრო ხშირად აძლევს პასებს, ვიდრე მე, რადგან ორივე ჰოლანდიელები არიან-მეთქი, ვიხუმრე. ეტყობა, არ გამომივიდა. ნამდვილად არ მინდოდა დენისისა და მარკის წყენა".

**უეფას ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ევროტურნირების ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე წესების დარღვევისთვის ორი ფეხბურთელი ხუთ მატჩს გამოტოვებს. პირველი მათგანი კიევის „დინამოში" მოთამაშე ალექსანდრ ხაცკევიჩია, რომელმაც 12 აგვისტოს, ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ციკლში პრაღის „სპარტის" ერთ-ერთ ფეხბურთელს თავი დაარტყა. მეორე კი რუმინულ „ოცელულში" მოასპარეზე ფორელ ბალინტი გახლავთ — იგი, უეფას თასის საკვალიფიკაციო ტურნირის შეხვედრაში დანიურ „ვეილესთან" მეორე ყვითელი ბარათის მიღებით განაწყენებული, საკმაოდ დიდხანს და უხეშად გამოხატავდა პროტესტს. ვინაიდან „ოცელულმა" ორი მატჩის ჯამში დანიურ კლუბთან 0:6 წააგო, ბალინტის დისკვალიფიკაცია მომავალ წელს ამოქმედდება. ხუთმა ფეხბურთელმა კი ოთხმატჩიანი სასჯელი მიიღო. ესენი არიან: მილანის „ინტერის" მცველი ფრანჩესკო კოლონეზე, „ზალცბურგის" ორი მოთამაშე — ტომას ვინკელჰოფერი და რონალდ ჰემინგი, ჰელსინკის „ჰიკში" მოასპარეზე აარნო ტურპეინენი და სამსუნსფორელი ტუმერ მეტინი. სხვათა შორის, ეს თურქული კლუბი ინტერტოტოს თასზე ბერემენის „ვერდერთან" შეხვედრაში გულშემატკივართა აგრესიული ქცევის გამო დამატებით 35410 დოლარით დაჯარიმდა.**

**არგენტინის** ჩემპიონატში მე-5 ტურის ერთი გამოტოვებული შეხვედრა გაიმართა. „ფერო კარილ ოესტმა" „ნეველს ოლდ ბოისს" უმასპინძლა. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. ამ თამაშის შედეგს ლიდერთა შორის არანაირი ცვლილება არ მოუხდენია — პირველ სამეულში მყოფთ კვლავ 11-11 ქულა აქვთ და ბურთების შეფარდებით ასე არიან განლაგებულნი: „ბოკა ხუნიორსი", „ველეს სარსფილდი", „უნიონი".

**ავსტრიის ნაკრებისა და იტალიური „რომას" გამოცდილი კარის დარაჯი, მიხაელ კონსელი ქუსლის ტრავმის გამო დაახლოებით ორ თვეს ვერ ითამაშებს, განაცხადა ავსტრიის საინფორმაციო სააგენტო APA-მ. თავად 36 წლის მეკარემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „სამწუხაროა, ტრავმა სეზონის დასაწყისს რომ დაემთხვა. თუმცა იმედი მაქვს, ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის პირველ რიცხვებში ჩვეულ ფორმაში ვიქნები".**

**ბერძნული** „ოლიმპიაკოსის" მთავარი მწვრთნელი დუშან ბაჟევიჩი ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ორ შეხვედრას ვერ დაესწრება. საქმე ისაა, რომ მან საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა ფედერაციის ხელმძღვანელები, რომლებმაც გადაწყვიტეს, ჩემპიონატის პირველი მატჩი ათენის „აპოლონთან" „ოლიმპიაკოსს" საბერძნეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ტრიკალაში გაემართა, რადგან ათენის სტადიონი რემონტდებოდა. სიტუაცია იმანაც გაამწვავა, რომ აღნიშნული მატჩი ესპანურ ტურნესა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრას (კვიპროსში) შორის უნდა შემდგარიყო და ზედმეტი, გადამღლელი მოგზაურობები ბაჟევიჩს ხელს არ აძლევდა. მართალია, საბოლოოდ მატჩი ათენის მახლობლად, კორინთში ჩატარდა და „ოლიმპიაკოსმა" 5:2 მოიგო, მაგრამ ბლაჟევიჩი ორმატჩიან დისკვალიფიკაციას მაინც ვერ გადაურჩა.

**გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი შტეფან კუნცი, რომელიც ამჟამად „ბოხუმის" ღირსებას იცავს, უცაბედად შეყრილი ვირუსის გამო თვენახევარი ვეღარ ითამაშებს. 35 წლის კუნცი „ბოხუმში" ბილეფილდის „არმინიადან" წლეულს გადავიდა.**

**ხორვატიის** ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა კლუბმა ზაგრების „კროაციამ" ქვეყნის თასის გათამაშებაში სამოყვარულო გუნდთან სამარცხვინოდ წააგო 2:3. არადა, დედაქალაქელები პირველ ნახევარში 2:0-ს იგებდნენ. „ფეხბურთელებს უჯობთ, გარკვეული დროის განმავლობაში საერთოდ არ დამენახონ" — განაცხადა შეხვედრის დასრულებისთანავე „კროაციის" განრისხებულმა პრეზიდენტმა ზლატკო კანჯუგამ. აღსანიშნავია, რომ მატჩში ტრავმის გამო ვერ ითამაშა ზაგრებელთა გამოცდილმა ნახევარმცველმა რობერტ პროსინეჩკიმ.

**შვედეთის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი ფრედრიკ ლიუნგბერგი შესაძლოა პრემიერლიგაში მოასპარეზე ბირმინგემის „ასტონ ვილაში" გადავიდეს, განაცხადეს კლუბის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა. ამჟამად მშობლიურ „ჰალმსტადში" მოთამაშე 21 წლის ლიუნგბერგმა ბირმინგემელთა ყურადღება, ეტყობა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში მიიქცია, სადაც შვედეთის ნაკრებმა ინგლისის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 2:1 მოუგო. ეს შეხვედრა ლიუნგბერგისთვის ნაკრებში მე-6 იყო. პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, „ასტონ ვილა" მზად არის, მის შესაძენად 1,5 მილიონი გირვანქა (2,48 მილიონი დოლარი) გადაიხადოსო. იქვე აღნიშნულია, რომ ჭაბუკი შვედის დასაკუთრება ძლიერ ნდომებიათ „ბარსელონასა" და ლონდონის „არსენალს". თუმცა, სავარაუდოდ, ამ ტრიოში გამარჯვებას მაინც ბირმინგემულ გუნდს უწინასწარმეტყველებენ. თანაც „ასტონ ვილას" თავკაცმა ჯონ გრეგორიმ დუაიტ იორკის გაყიდვის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედისგან" მეტად სოლიდური თანხა — 12,6 მილიონი გირვანქა მიიღო და ფინანსურ გაჭირვებას ნამდვილად არ უჩივის. ამ თანხის ნახევარი მან უკვე გაიღო „მიდლსბროდან" გამოცდილი პოლ მერსონის გადასაბირებლად, რომლის დებიუტიც ახალ კლუბში შაბათს, „უიმბლდონთან" შეხვედრაში შედგება.**

**ნიგერიის** ნაკრებისა და „შტუტგარტის" თავდამსხმელი ჯონათან აკპობორი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ამის მიზეზი წითელი ბარათი ყოფილა, რომელიც მან გერმანიის თასის გათამაშების პირველ წრეში „ლუბეკთან" თამაშისას მიიღო. თუმცა, როგორც თასების თასის ფინალისტთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, დისკვალიფიკაცია მხოლოდ ბუნდესლიგის მატჩებზე ვრცელდება და აკპობორი უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში ჰოლანდიურ „ფეიენოორდთან" იასპარეზებს. ნიგერიელი ფეხბურთელი გერმანიის ჩემპიონატის პირველ შეხვედრას (დისკვალიფიკაციის შემდეგ) 26 სექტემბერს გამართავს, როდესაც „შტუტგარტი" მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ესტუმრება.

**გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ ვიწვევთ**

დამკაბადონებლად ვეძებთ სპორტის მცოდნე, მოწესრიგებულ, მარდ, გემოვნებიან მეგაზეთე ვაჟ სპეციალისტს

**მსურველები შეგვეხმიანონ სამშაბათს ან ხუთშაბათს, 13-დან 17 საათამდე**





მარტინ ედვარდსმა (მარცხნივ) კლუბის სადავეები მარკ ბუთს გადაულოცა

# დიდი კაცის სიმართლე

ღელავდნენ ინგლისში, ავსტრალიაში, უელსში, შოტლანდიაში, ყველგან, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედს" გულშემატკივრობენ. ნერვიულობდნენ „ალისფერი ეშმაკუნების" ახალგაზრდა, მოხუცი, ყმაწვილი ქომაგები. „ოლდ ტრეფორდის" მახლობლად ღამეს ათევდნენ კაცები, ქალები, პატარა ბიჭუნები. ყველა მანჩესტერელი წინააღმდეგი იყო სათაყვანებელი „მანჩესტერ იუნაიტედი" მასმედიის მაგნატ რუპერტ მერდოკის იმპერიის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო, მაგრამ მილიარდელმა ავსტრალიელმა, რომელიც ახლა ამერიკის მოქალაქეა, თავისი გაიტანა — გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ ინგლისის ბოლო წლების უძლიერესი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი" უკვე მერდოკის იმპერიას, BSkyB-ის ეკუთვნის.

ერთ დღეში „მანჩესტერ იუნაიტედის" ახლა უკვე ყოფილი დირექტორი მარტინ ედვარდსი უმდიდრესი ადამიანი შეიქნა — კლუბი BSkyB-ის მილიარდ 200 ათას დოლარად მიჰყიდა და დიდძალი თანხა მიითვალა. ცხადია, მთელი ფული მას არ ეკუთვნის, მაგრამ კლუბის აქციათა 20 პროცენტის წყალობით, რომლის მფლობელიცაა ედვარდსი, მან კაპიტალი კიდევ უფრო გაიზარდა.

მალე მერდოკი დედამიწას იყიდისო, ხუმრობდნენ მანჩესტერელები. დედამიწის რა მოგახსენოთ, მაგრამ რუპერტ მერდოკის კუთვნილი კომპანიის „მერდოკ ნიუზ კორპორეიშნ ლტდ"-ის სიმდიდრე ბარეათი სახელმწიფოსთვისაა სანატრელი, მილიონობით დოლარის შემოსავალი ზემოხსენებული კორპორაციისთვის ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული, თუმცა როგორც ყველა ჭკვიანი და საქმისმცოდნე ბიზნესმენი, მერდოკი მიღწეულით არ კმაყოფილდება და იმპერიის სამფლობელოების გაზრდას ცდილობს. გარკვეულწილად აღწევს კიდეც შედეგს.

და სწორედ მაშინ, როცა განერვიულებული ფანები ღამეს ათევდნენ, ხალხს მხარდაჭერას სთხოვდნენ, ემოციას აყოლილი პატარები ცრემლებს ვერ იკავებდნენ, კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა გუნდის გასხვისების თაობაზე — ოთხშაბათს, 9 სექტემბრის საღამოს, „მანჩესტერ იუნაიტედი" BSkyB-ის ხელში გადავიდა.

— ედვარდსმა ჩვენ გაგვყიდა. მას უბრალოდ არანაირი უფლება არ ჰქონდა, ასე მოქცეულიყო. იგი მოღალატეა, მან მანჩესტერელებს სიყვარული წაართვა. „მანჩესტერ იუნაიტედი" ვერასოდეს იქნება ისეთი, როგორც ჩვენთან ყოფნის დროს იყო. ახლა ყველაფერი ფულის კეთებით გაიზომება, ყველა შემოსავალზე დაიწყებს ფიქრს, ეს კი ჩვენ საყვარელ „მენ-იუს" (კლუბის სახელწოდების შემოკლებული ვარიანტია) ხიბლს დაუკარგავს — რიჩარდ კერი, უელსის დედაქალაქ კარდიფში არსებული მანჩესტერელთა ფანკლუბის დამაარსებელი დანაღვლიანებული ჩანდა. მის გარდა კლუბში უამრავი ქომაგი შეკრებილიყო და დიდ ეკრანს შესცქეროდნენ — საყვარელი გუნდის გაყიდვის ამბავს გადმოსცემდნენ...

— ძნელია როცა ადამიანს ენდობი, ის კი უმოწყალოდ გაგყიდის. ჩვენ ედვარდსისკენ ვიყავით, ედვარდსი ეშმაკებისკენ. ახლა მეცინება ჩვენს თავს რომ ვიხსენებ. ემოციებსაყოლილებმა კლუბის ხელმძღვანელობას ისიც კი შევთავაზეთ, ფულს შევკრებთ და პოზიციების გამყარებაში დაგეხმარებითო. თანხა მთელ ინგლისში დაახლოებით 30 მილიონ გირვანქამდე გროვდებოდა. დარწმუნებული ვარ, ედვარდსი გულშემატკივრების ფულს ჩაიჯიბავდა და გუნდს მაინც გაყიდდა. მეტი რა უნდა ვთქვა, ის უბრალოდ უნამუსოა — კლუბის წლიური აბონემენტის მფლობელ გორდონ ბერსლის, ათასამდე ქომაგთან ერთად „ოლდ ტრეფორდის" მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია რომ მოეწყო, გული დაკოდვოდა. საწყალს „მანჩესტერ იუნაიტედის" მხარდასაჭერად იმდენი უყვირია, ხმა ჩახლეჩოდა. მისნაირი სტადიონთან ბევრი იყო, ასეულობით...

პატარა კაცსა დიდ კაცთან როდის გასვლია მართალი? ეს ძველქართული სიბრძნე სწორედ რომ ზედგამოჭრილია შექმნილი სიტუაციისთვის. საყვარელი, სათაყვანებელი „მანჩესტერ იუნაიტედის" შესაძლო გასხვისებით შეწუხებული ათასობით ადამიანი შეკრებილიყო მანჩესტერში, ინგლისის კიდევ რამდენიმე ქალაქში, საერთოდ დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაშიც კი. ღამეს ათევდნენ. ამ დროს კი ათიათასობით კაცს დაპირისპირებულმა ერთმა არაინგლისელმა თავისი გაიტანა — გამერიკელებული ავსტრალიელი რუპერტ მერდოკი ახლა ინგლისურ კლუბსაც დაეუფლა. მანამდე მერდოკს ინგლისში უდიდესი და ყველაზე პოპულარული გაზეთები „სანი" და „თაიმზი", ასევე ტელეკომპანია BSkyB" ეკუთვნოდა. ამბობენ, მერდოკი კიდევ აპირებს პრემიერლიგის კლუბების შეძენას, მაგრამ კონკრეტულად რომლის, ჯერ არ თქმულაო.

— ნაბიჯი, რომელიც დღეს გადავდგით, გუნდის სასიკეთოდ გავაკეთეთ. შეიძლება ბევრმა ჩვენი ნათქვამი არ დაიჯეროს, მაგრამ მერწმუნეთ, დღეიდან „მანჩესტერ იუნაიტედი" კიდევ უფრო გარდაიქმნება. ჩვენი კორპორაცია კლუბს კიდევ უფრო გააძლიერებს. „მანჩესტერ იუნაიტედის" გაძლიერება ჩვენს ინტერესებშიც შედის, აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ გუნდის წინსვლაზე ვიზრუნებთ. ჩვენ გუნდში გამარჯვებების მისაღწევად მოვედით. „მანჩესტერ იუნაიტედმა" არა მარტო ინგლისური ფეხბურთის, არამედ მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალები უნდა დაიპყროს! — BSkyB-ის აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ ბუთმა, რომელიც წარმოადგენდა კიდეც მყიდველ კორპორაციას, ზემოთქმული სიტყვები ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოთქვა.

— ვფიქრობ, ასე აჯობებს. მართალი გითხრათ, BSkyB-ი ძალიან იყო დაინტერესებული კლუბის შეძენით. „მანჩესტერ იუნაიტედის" სხვა მსხვილ აქციონერებთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ გუნდის გაყიდვა საერთო ინტერესებში შედიოდა და ხელშეკრულებაც ამიტომ გაფორმდა. გულშემატკივრები ტყუილუბრალოდ ღელავენ. რაიმე ცვლილება გუნდში არ მოხდება, არც მათ და კლუბის ურთიერთობას დაეტყობა რამე. პირიქით, თუ რაიმე შეიცვლება, ყველაფერი სასიკეთოდ — მარტინ ედვარდსი კმაყოფილი ჩანდა.

ხელშეკრულების გაფორმებას ესწრებოდა ბრიტანეთის ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტროს გენერალური მდივანი პეტერ მენდელსონი, რომელმაც მხარეებს ყველანაირი უფლება მისცა, საკითხები იურიდიულად დაშვებულ ნორმებში გადაეწყვიტათ. გართულებები არ მომხდარა — ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა გარიგებამ პრობლემების გარეშე ჩაიარა.

ერთი სიტყვით, ასრულდა ნაკლებთა წადილი, სამაგიეროდ გარიგებამ მილიონობით ქომაგს დასწყვიტა გული. ისე, კაცმა რომ თქვას, გულშემატკივრებს სანერვიულო არც არაფერი აქვთ, პირიქით — თუ გარიგებამდე „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთი აქცია 15 პენსი ღირდა, გარიგების შემდეგ 215 პენსი გახდა. კომენტარი, ვფიქრობ, ზედმეტია. BSkyB-ის ავტორიტეტმა მაინც თავისი გაიტანა.

...მარტინ ედვარდსი, „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი პრეზიდენტი გუნდში დარჩა — დღეიდან იგი „ალისფერი ეშმაკუნების" დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი წევრია, ამასთანავე გუნდის აქციების გარკვეული პროცენტის მფლობელი.

— ვიცი, ჩემს საქციელს ქომაგები არ გაამართლებენ, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნაბიჯი გუნდის სასიკეთოდ გადავდგი. „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემთვის შვილობილივითაა. როცა მე კლუბის პრეზიდენტი გავხდი, იგი 2,5 მილიონი გირვანქა ღირდა. დღეს მისმა ღირებულებამ მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ამის მერე ნუთუ ხალხს ჰგონია, რომ რამეს კლუბის საზიანოდ გავაკეთებდი? არამც და არამც. ძალიან ვთხოვ ყველას, ნურც იმას იფიქრებენ, თითქოს „მანჩესტერ იუნაიტედში" რამე შეიცვლება. იგი ისევ იმ გუნდად დარჩება, ხალხი ათეული წლების მანძილზე რომ ეტრფიალებოდა — ამით დასრულდა ედვარდსის საუბარი ჟურნალისტებთან.

ოლდტრეფორდელთა მართლაც რომ ამაღორძინებელი ედვარდსი კლუბის პრეზიდენტი 1980 წელს გახდა, მას შემდეგ, რაც მამამისი ლუისი გულის შეტევით გარდაიცვალა. იმ წლიდან მოყოლებული მარტინ ედვარდსი „მანჩესტერ იუნაიტედს" უნარიანად მართავდა, გუნდიც ფინანსურად საგრძნობლად მოძლიერდა, ინგლისში ყველაზე მდიდარ კლუბად იქცა. 11 საჩემპიონო ტიტულით და 9 თასით გუნდი მხოლოდ „ლივერპულს" ჩამორჩება, არადა, ჯილდოების დიდი ნაწილი მანჩესტერელებმა კლუბში ედვარდსების მოღვაწეობის პერიოდში მოიგეს. მარტინამდე გუნდს ხომ მამამისი ლუისი მართავდა.

გუშინ „მანჩესტერ იუნაიტედში" ედვარდსთა მოღვაწეობის 40 წლიწადი დამთავრდა. მარტინ ედვარდსი კლუბში დარჩა, თუმცა ახლა გუნდს მარტო ის აღარ მართავს. დირექტორთა საბჭოში სხვებიც არიან...

**ლაშა გოდუაძე**

### საქართველოს ჩემპიონატი

**ასკ 15:56 ყოჩები**

**ასკ: 2 ლ. — შველიძე, საკანდელიძე; 1 ს. და 1 გ. — იოვაძე**
**ყოჩები: 8 ლ. — ცხვედიანი, დიდებულიძე, ურუშაძე, საკანდელიძე (2), ტეფნაძე, ხეხელაშვილი, მაჩიტიძე, 8 გ. — მაჩიტიძე**

ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე ფორმალურად დამთავრებულია. გუნდები ახლა გადადებულ მატჩებს თამაშობენ. ის ექვსეულიც ცნობილია, რომელიც მეორე წრეში განაგრძობს ბრძოლას. მათ შორის „დინამოსთან“ ერთად „აიაც“ ვერ მოვხდა, ამიტომაც ამ შეხვედრაში გუნდებს თავი ძალიანაც არ მოუკლავთ.

მსაჯის სასტვენი და ყოჩთა შედეგიანი შეტევა ერთი იყო. თანაგუნდელთა იერიში ცხვედიანმა დაასრულა ლელოთი. მაჩიტიძემაც, ისევე როგორც დანარჩენ შვიდ შემთხვევაში, ზუსტად გარდასახა. სტუმრები არც ამის მერე შეჩერებულან, პირიქით, უფრო გააქტიურდნენ და შეიძლება ითქვას, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მეტოქის ნახევარს არ მოსცილებიან. მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს შედეგიანად შეტევა და იოვაძემ ზუსტად გამოიყენა საჯარიმო.

სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა — ჩემპიონი აშკარა უპირატესობას ფლობდა, რაც ექვს გატანილ ლელოში გამოიხატა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ყოჩების“ შემჩერებელი დღესდღეობით არავინაა, მით უმეტეს, რომ „გუმარი“ ორმა მობურთალმა — მთიულიშვილმა და მჭედლიშვილმა დატოვა, დანარჩენები კი 17 სექტემბრის „გუმარ“ — „ყოჩების“ მატჩის შემდეგ წავლენ საფრანგეთის სხვადასხვა კლუბებში.

**ბაატა თოთაძე**



### საქართველო და ებრაელები — 26 საუკუნე

## ყველა სადღეგრძელო ძმობისა იყო

მშვიდობა, ძმობა, ერთობა, ცისარტყელა და ფერად-ფერადი ბუშტები... სხვა რა შეიძლება ეწოდოს სანახაობას, რომელიც გუშინ სპორტის სასახლეში გაიმართა და საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების ოცდაექვსსაუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა. იქ ყველაფერი იყო: მუსიკა, ცეკვა-თამაში, ხრიდოლი (ქართული საბრძოლო ხელოვნება), უამრავი ხალხი, გაბრწყინებული სახეები... და იყო კალათბურთი.

ერთმანეთს ქართველ-ებრაელთა თბილისის „მაქაბი“ და ებრაელ-ქართველთა (მათ შორის საქართველოდან არცთუ დიდი ხნის წინ წასულთა შთამომავლებიც იყვნენ) „ჰაპოელი“ უნდა გაჯიბრებოდნენ.

მატჩის დაწყებამდე, სანამ კალათბურთელები მოთელვას დაამთავრებდნენ, ერთ-ერთი მათგანი ამოვილე თვალში. ისედაც ტალიკ-ტალიკ ბიჭებში ებრაელთა 15 ნომერი აშკარად გამოირჩეოდა და თავი ყოჩივით ეჭირა. მასთან გასაუბრება ვცადე, რაზეც თავაზიანად დამთანხმდა. არც შევმცდარვარ. ჩემი რესპონდენტი ასავ ლევი „ჰაპოელის“ ნაღდი ყოჩი-კაპიტანი აღმოჩნდა.

**— ასავ, საქართველოში ალბათ პირველად ხართ?**

— დიახ, თქვენს მხარეს პირველად ვეწვიე, თანაც რა კარგ დროს დაემთხვა. ღირსშესანიშნავი თარიღია და ბრწყინვალე ზეიმი.

**— ქართველებზე თუ გსმენიათ რამე?**

— როგორ არა, თანაც საკმაოდ ბევრი და კარგი, რაშიც პირადად დავრწმუნდი. მართლაც კარგები ყოფილხართ.

**— თქვენს გუნდზე რას გვეტყვით?**

— მეორე ლიგაში ვთამაშობთ და წარმატებითაც. სულ პრიზიორებში ვხვდებით, მაგრამ პირველ ლიგაში ვერა და ვერ გადავედით. უნდა გითხრათ, რომ შარშანდელი შემადგენლობიდან ბევრმა დატოვა გუნდი და ახლა ფაქტობრივად ექსპერიმენტული შემადგენლობით მოგვიწევს თამაში. თანაც სულ ორი კვირაა, რაც შევიკრიბეთ და რიგიანად არც გვივარჯიშია.

**— ალბათ მოგებას აპირებთ...**

— რა თქმა უნდა. შევეცდებით, გავიმარჯვოთ. თუმც მაინც სპორტია და წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ. მატჩი როგორც უნდა დამთავრდეს, მთავარი მაინც ებრაელთა და ქართველთა მეგობრობაა. ამხელა გზაზეც სწორედ ამიტომ ჩამოვედით.

**— ქალაქის დათვალიერება თუ მოასწარით?**

— როგორ არა, თითქმის ყველაფერი ვნახეთ. ეგ კი არა, გუშინ სულაც კახეთში გახლდით, თელავსა და წინანდალში.

**— აბა, კახურ ღვინოსაც დააგემოვნებდით.**

— ზუსტად ხუთი ჭიქა დავლიე და ყველა სადღეგრძელო ჩვენი ძმობისა იყო.

აქ კი ასავ ლევიმ ზრდილობიანად მომიბოდიშა. დროა, გუნდს შევუერთდეო, მანიშნა და დამემშვიდობა.

რაც შეეხება თავად მატჩს, იგი ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც ველოდით. მართლაც რომ მეგობრული, მუსიკისა და სიმღერების თანხლებით. ერთადერთი არამეგობრული ამ თამაშის საბოლოო ანგარიში გახლდათ — ქართველებმა 49:40 იმარჯვეს.

**გიორგი ბიძაშვილი**

## უიღბლობა და ნაცვლიშვილი: ისევ პრესინგში

*კაცი თურქეთში გეგონოს, ეგ არის, დიდი კალათბურთის გზაზე შედგარ, ფიქრობდე და... ყავარჯენმომარჯვებულს თბილისში რომ წააწყდები, რა ჭკუაზე დადგები? ამას ჩვენი ნაკრების კაპიტანზე ვატო ნაცვლიშვილზე მოგახსენებთ.*

*სპორტის სასახლეში ვატოს ასეთ დღეში დამნახავი „მაქაბი“ — „ჰაპოელის“ მატჩის დამთავრებას აღარ დაველოდე და ხალხმრავლობის მიუხედავად უმალ მასთან გავჩნდი.*

**— ახლახან თურქეთში რომ დაგიკავშირდით, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, კმაყოფილი ჩანდით. ეს უიღბლობა რა გაგიხდათ...**

— რას იზამ. რატომღაც ასე დამებედა. თანაც ფორმის პიკში რომ ვარ, ყველაფერი უბედურება მაშინ მემართება.

**— აღარ იტყვით, რა მოხდა?**

— ყველაზე ცუდი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ძალიან მძიმე ოპერაცია გავიკეთე. ქუსლი საშინლად დავიზიანე, უამრავი ნაკერი დამადეს.

**— კი მაგრამ, ასეთი რა შეგემთხვათ, ასე რამ დაგაშავათ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ეს არც ვარჯიშისას მომსვლია და არც თამაშისას. დასვენების დღე იყო და აუზზე წავედი გასაგრილებლად. ერთი მოძრაობისას ფეხი ცუდად დავადგი და...

სასწრაფოდ საავადმყოფოში გამაქანეს და ოპერაციაც იქვე, იზმირში გამიკეთეს. მოკლედ, დროებით ჩამოვშორდი კალათბურთს. ვფიქრობ, ერთ-ორ თვეში სრულად მოვშუშდები. რაც მთავარია, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და გართულებები აღარ მქონია.

**— აბა, თურქები კაი ჭკუაზე დადგებოდნენ...**

— მაგას ვინღა ჩივის. ჩემი თავის პატრონი მე ვარ და მომხდარი ყველაზე მტკივნეულად მე და ჩემი ოჯახის წევრებმა გადავიტანეთ. რაც შეეხება „კარშიაკას“, მათთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი შევწყვიტე. სხვანაირად არ გამოდიოდა. მე ისინი დავალალატე და იქ ველარ გავჩერდებოდი. ისე, ყველაფერში კაცურად მოიქცნენ, გვერდში ამომიდგნენ და ყურადღებას არ მაკლებდნენ.

**— მათ თავიანთი იკითხონ, ჩვენ კი ჩვენს გასაჭირზე ვთქვათ. ესლა აკლდა ჩვენს ნაკრებს... შეძლებთ კი ნოემბრისთვის ფორმის აღდგენას?**

— როგორ გითხრათ... თავიდან მეგონა, რომ სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, არც მთლად ასეა საქმე. ვატყობ, კარგა ხანს დამჭირდება მკურნალობა, სანამ ბოლომდე არ დავდგამ ფეხს. არც ის მინდა, რომ ვარჯიში ნაადრევად დავიწყო, ამით შესაძლოა სულ გავიფუჭო საქმე. ისე, ჩემი მიზანიც ეგაა: როგორმე ნოემბრისთვის შევიდე ფორმაში და ეროვნულ ნაკრებს გამოვადგე.

*ესეც ასე. ჯერ იყო და, ჩვენი ნაკრების ლიდერი გაზაფხულზე იტალიელთა ეროვნულ გუნდთან სწორედ ტრავმის გამო მოვისაკლისეთ. ახლა კი ნაკრების სანოემბრო თამაშებში ვატოს მონაწილეობა ერთობ საეჭვოა.*

**გიორგი ბიძაშვილი**

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**ორშაბათს, 14 სექტემბერს, 12 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში პრესკონფერენციას გამართავენ კორაჩის თასზე მოასპარეზე რუსთავის „აზოტის“ ხელმძღვანელები.**

**იქვე მოეწყობა ჟურნალისტთა აკრედიტაცია „აზოტისა“ და დონეცკის „შახტიორის“ 16 სექტემბრის მატჩზე.**



## მატჩი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია

US OPEN

კაროლ კუჩერასა და ანდრე აგასის, ისევე როგორც მატჩის მაყურებელ ნებისმიერ ჩოგბურთის მოყვარულს, ამერიკის ღია პირველობის ორ დღედ გაწელილი ხუთსეტიანი მერვედფინალი, სამსაათნახევარი რომ გრძელდებოდა და ერთი პირობა ლამის ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა, ნამდვილად კარგა ხანს ეხსომებათ.

ყოველ შემთხვევაში, შეხვედრის შემდგომ პრესკონფერენციაზე ორივე ჩოგბურთელმა მსგავსი აზრი გამოთქვა. „ეს ყველაზე უცნაური მატჩი იყო ჩემს კარიერაში“ — განაცხადა კუჩერამ. „ის, რაც ამ თამაშში ხდებოდა, ჩოგბურთის გარდა ყველაფერს ჰგავდა. ზოგჯერ ჩვენი პაექრობა იმ დონეს აღწევდა, რომ შესაძლებელი იყო მოკრივის ხელთათმანები ჩაგვეცვა, ან დართსი გვესროლა, საერთოდ, ნებისმიერი რამ გაგვეკეთებინა, ოღონდ მომდევნო ქულის მოგება მოგვეხერხებინა“ — აღიარა აგასიმ.

ყველაფერი, ესე იგი, მატჩი ერთი დღით ადრე დაიწყო. კუჩერამ პირველი ორი სეტი, ალბათ, თავისთვისაც მოულოდნელად ძალიან იოლად მოიგო, მესამეშიც ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ მოსალოდნელმა წარმატებამ (აქამდე აშშ-ის ღია პირველობაზე ოთხჯერვე პირველივე წრეში წაეგო) მეტისმეტად გაანერვიულა და პროფესიონალისთვის უჩვეულო ერთი და იმავე შეცდომის დაშვება დაიწყო — მოწოდებისას ბურთს მოსახერხებლად ვერაფრით იგდებდა და იგივე მოძრაობას უამრავჯერ იმეორებდა, რამაც აგასის მოთმინება დაიკარგვინა: „ვიცი, რომ ამას განზრახ არ აკეთებდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ჩემზე ხომ მაინც საშინლად მოქმედებდა. რვაჯერ რომ ააგდო, არაფერი მითქვამს, მსაჯს ვკითხე, ამის უფლება თუ აქვს-მეთქი. მერე ეს კიდევ რამდენჯერმე მოიმოქმედა, ისევ მოვითმინე, მაგრამ ბურთი მე-16 და მე-17-ედ რომ აიქნია ზევით და ისევ უშედეგოდ, უკვე გაგიჟებას ცოტაღა მაკლდა.“

ანდრემ დამშვიდების ხერხი მომდევნო გეიმში გამონახა — კუჩერას გამოჯავრებას მიჰყო ხელი და მეტოქის მსგავსად თავადაც დაუსრულებლად აგდებდა ბურთს ზევით, რასაც არცთუ სასიამოვნო შედეგები მოჰყვა — გაღიზიანებული სლოვაკი ხოტორა ამერიკელს ჯერ თითით დაემუქრა, მერე ბურთიც ესროლა, რაზეც აგასიმ ომახიანი „come on“-ით (რაც ქართულად დაახლოებით „მოდი, თუ ბიჭი ხარ“-ს ნიშნავს) და ზედიზედ რამდენიმე გეიმის მოგებით უპასუხა. კაცმა არ იცის, შემდგომ რა მოხდებოდა, საბრძოლველად შემართული მეტოქეები ნიუ იორკს თავს დამტყდარ წვიმას რომ არ დაეშორიშორებინა. ანგარიში ამ დროს 6:3, 6:3, 6:7 (5:7), 0:3 იყო კუჩერას სასარგებლოდ.

მეორე დღეს განახლებული მატჩი აგასიმ ისევ დიდი ენთუზიაზმით გააგრძელა და პირველი ექვსი გეიმიდან ხუთი მოიგო, მეხუთე სეტში ორი ბრეიკითა და 3:0-ით დასაწინაურებლადაც ერთი ქულაღა აკლდა, მაგრამ სამი ბრეიკ-პოინტი ხელიდან გაუშვა, მერე საკუთარი მოწოდება დაკარგა და ფრთაშესხმულ სლოვაკს ველარაფერი დაუპირისპირა — 6:3, 6:3, 6:7 (5:7), 1:6, 6:3 კუჩერას სასარგებლოდ.

ჩოგბურთელისთვის, რომელიც წლის დასაწყისში კლასიფიკაციის საუკეთესო ასეულის მიღმა იმყოფებოდა, მსოფლიოს მერვე ჩოგნობა და „ოუფენის“ მერვედფინალში გასვლა ურიგო მიღწევად აშკარად არ ჩაითვლებოდა, მაგრამ სამი დიდი სლემის ტურნირის მომგები აგასისთვის სეზონის საზომი უპირველესად სწორედ სლემზე ნაჩვენები შედეგებია, რითაც ამერიკელი წლეულს ნაღდად ვერ დაიტრაბახებს. ამიტომ საგაისოდ აგასიც სწორედ დიდ ტურნირებს უმიზნებს: „ამ სეზონმა ჩემი თამაშის შემდეგი, უფრო მაღალი დონისთვის შემამზადა, მე ხომ დიდ ჩოგბურთში დარჩენას კიდევ კარგა ხანს ვაპირებ. ასე რომ, მომავალ წელს იმ რწმენით შევხვდები, რომ სლემის ტურნირების მოგება არა მარტო შემიძლია, არამედ ვალდებულიც კი ვარ.“

რაც შეეხება კუჩერას, ამერიკელებს სამპრას-აგასის ორთაბრძოლის ნახვის შესაძლებლობა რომ მოუსპო, მეოთხედფინალში მას მსოფლიოს პირველი ჩოგანი ელის, რომელიც სლოვაკმა წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის იგივე სტადიაზე დაამარცხა: „მოსალოდნელი მატჩის კომენტარისგან თავს შევიკავებ, თუმცა იმედი მაქვს, ბურთის აგდება მაინც გამომივა უკეთ.“

აგასი-კუჩერას გარდა სამშაბათს კიდევ ორი მეტად საინტერესო შეხვედრა გაიმართა. წლევანდელი როლან გაროსის ფინალის განმეორებაში კარლოს მოიამ (10) ისევ სეტის დაუთმობლად სძლია თანამემამულე ალექს კორეტხას (7) 7:6, 7:5, 6:3, ოღონდ ამას ამ უკანასკნელის ხელშეწყობასაც უნდა უმადლოდეს — კორეტხამ 15 ბრეიკ-პოინტიდან ვერცერთის(!) გამოყენება ვერ მოახერხა.

ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა პატრიკ რაფტერმა (3) კი შესანიშნავად ისარგებლა ხორვატი გორან ივანიშევიჩის (14) გაუწონასწორებელი ხასიათითა და პირველი მოწოდებების სიმცირით (40%) და 6:3, 6:4, 4:6, 6:1 მოიგო. მეოთხე სეტში გორანს დაწინაურების შანსები კი მიეცა, მაგრამ სამი ბრეიკ-პოინტი რომ გაანიავა, ჩოგანი ისე დაახეთქა კორტს, ბურთის მიმტანი ბიჭი კინაღამ შეიწირა, ამისთვის კი ქულაც ჩამოართვეს და თავის გადარჩენის შესაძლებლობაც. გორანი საკუთარი თამაშის შეფასებაში მატჩის შემდეგ მართლაც რომ პირუთვნელი იყო: „დღეს თავადაც არ ვიცი, რა მომდიოდა. ვიწყებ მეოთხე სეტს და სრულიად უმიზეზოდ ფეხებს შორის დარტყმას ვაკეთებ, რასაც ჩემისთანა იდიოტის გარდა არავინ იზამდა. უმნიშვნელოვანეს მომენტში, ბრეიკ-პოინტზე კი ზუსტი მიღების ნაცვლად რაღაც „ჰოუმ-რანის“ (კეტბურთში ბურთის მოედნის ფარგლებს გარეთ გადაგდება) მაგვარი გამომივიდა.“

რაც შეეხება მეოთხედფინალურ წყვილებს, აქ სამპრას-კუჩერას გარდა რაფტერ-ბიორკმანის, იოჰანსონ-ფილიპუსისისა და მოია-ლარსონის დუელები შედგება.

ქალებმა კი პირველი მეოთხედფინალები უკვე სამშაბათს გამართეს. ნაადრევ ფინალად შერაცხულ მატჩში მსოფლიოს ყოფილ და ახლანდელ პირველ ჩოგნებს — მონიკა სელეშსა და მარტინა ჰინგისს შორის ამ უკანასკნელმა მეტოქესთან განცდილი ზედიზედ ორი მარცხისთვის შური იძია 6:4, 6:4 და გამარჯვებით გახარებულმა გვარიანადაც შეიკუნტრუშა. „მატჩის დაწყებამდე საკუთარი თამაშის ხარისხით ცოტა შეშფოთებული ვიყავი, მაგრამ ვგრძნობ, რომ თანდათან ჩვეულ ფორმას ვიბრუნებ. ბედნიერი ვარ, რომ ჩოგბურთის თამაში არ დამავიწყდება“, — განაცხადა მატჩის შემდეგ მარტინამ, რომელიც ამ ბოლო ხანებში საკუთარი ძალების რწმენის დაკარგვას უჩიოდა.

ნახევარფინალში ჰინგისს უიმბლდონის ნახევარფინალში წაგებისთვის შურისძიების შანსიც ეძლევა — მისი მეტოქე აქ ბალახის დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებული იანა ნოვოტნა იქნება. ჩეხმა მეოთხედფინალში შვეიცარიელი პატი შნიდერი რომ დაამარცხა, თან მადლობის თქმაც არ დავიწყებია — კიდევ კარგი, შტეფი გრაფს რომ მოუგე, თორემ დღეს ბადის მეორე მხარეს მისი დანახვა ნამდვილად არ გამიხარდებოდაო (ნოვოტნას გრაფთან 31-დან 27 პირადი შეხვედრა წაუგია).



REUTERS ნიუ იორკიდან

მონიკა სელეშის დარდი და ცრემლები



REUTERS ნიუ იორკიდან

შნიდერთან შეხვედრისას იანა ნოვოტნას არაფერი ადარდებდა

**ავთანდილ სვანიძე**

### მერვედფინალი

კაცები

**კაროლ კუჩერა (9, სლოვაკეთი) — ანდრე აგასი (8, აშშ) 6:3, 6:3, 6:7 (5:7), 1:6, 6:3; პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — გორან ივანიშევიჩი (14, ხორვატია) 6:3, 6:4, 4:6, 6:1; კარლოს მოია (10, ესპანეთი) — ალექს კორეტხა (7, ესპანეთი) 7:6 (7:4), 7:5, 6:3; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (11, რუსეთი) 3:6, 6:3, 6:3, 7:6 (8:6); იონას ბიორკმანი (12, შვედეთი) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:4, 2:6, 6:2, 6:2; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ტიმ ჰენმანი (13, ინგლისი) 7:5, 0:6, 6:4, 6:1; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ოლივერ გროსი (გერმანია) 6:4, 7:5, 5:7, 6:2.**

### მეოთხედფინალი

ქალები

**მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — მონიკა სელეში (6, აშშ) 6:4, 6:4; იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — პატი შნიდერი (10, შვეიცარია) 6:2, 6:3.**

### წყვილთა მეოთხედფინალი

კაცები

**ჯონ დე ჯაგერი და რობი კენიგი (სამხრეთ აფრიკა) — ნილ ბროუდი (ინგლისი) და პიტ ნორვალი (სამხრეთ აფრიკა) 5:7, 6:4, 6:2; მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (ინდოეთი) (4) — ლუის ლობო (არგენტინა) და ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 6:3; მარკ ნოულსი (ბაჰამები) და დანიელ ნესტორი (კანადა) (6) — პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) და იონას ბიორკმანი (შვედეთი) (3); სენდონ სტოლი (ავსტრალია) და სირილ სუკი (ჩეხეთი) 15) — მარტინ დამი (ჩეხეთი) და ჯიმ გრები (აშშ) 7:6 (7:4), 6:7 (5:7), 7:5**

ქალები

**ლაიზა რეიმონდი (აშშ) და რენე სტაბსი (ავსტრალია) (4) — ემი ფრეზერი და კეტი შლუკებირი (აშშ) 6:3, 6:4; ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) და პაოლა სუარესი (არგენტინა) (16) — კაროლინ დენენი და ემილი ლუა (საფრანეთი) 7:6 (7:4), 6:7 (4:7), 6:3.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჰოლანდია

III ტური

**მაასტრიხტი 1:4 უტრეხტი**

0:1 დე იონგი (1), 1:1 იოორდენსი (2), 1:2 ტიომი (13), 1:3 მოლსი (68), 1:4 დე იონგი (78)

**ბრედა 1:1 ტვენტე**

0:1 ჰუგმა (26), 1:1 სანტანა (40)

**ჰამბური 2:2 ნაიმეგენი**

1:0 ვან დერ ჰეიდე (17), 1:1 ელერმანი (57), 1:2 ტუმანი (64), 2:2 აბმა (82)

**სიტარდი 0:2 ვიტესი**

0:1, 0:2 მახლასი (60, 67)

**აიაქსი 5:1 აზ 67**

1:0 დანი (14), 2:0 ბენი (45), 3:0 ლიტმანენი (58პ), 4:0 ოლისე (69), 4:1 ჰუიბერტსი (70), 5:1 ჰუქსტრა (87)

## ინგლისი

IV ტური

**მანჩესტერი 4:1 ჩარლტონი**

0:1 კინსელა (32), 1:1 სოლსკიაერი (38), 2:1, 3:1 იორკი (45, 48), 4:1 სოლსკიაერი (63)

**ასტონ ვილა 1:0 ნიუკასლი**

1:0 ჰენდრი (62პ)

**ჩელსი 0:0 არსენალი**

**დერბი 1:0 შეფილდი**

1:0 სტარიჯი (23)

**ლესტერი 0:1 მიდლსბრო**

0:1 გესქოინი (45)

**ლივერპული 2:0 ქოვენთრი**

1:0 ბერგერი (25), 2:0 რედნაპი (48)

**ტოტენჰემი 2:1 ბლექბერნი**

0:1 გალაჰერი (11), 1:1 ფერდინანდი (26), 2:1 ნილსენი (50)

**ვესტ ჰემი 3:4 უიმბლდონი**

1:0 ჰართსონი (5), 2:0, 3:0 რაიტი (12, 26), 3:1 გეილი (29), 3:2 ეუელი (66), 3:3 გეილი (77), 3:4 ეკოკუ (80)

პირველი დივიზიონი

**სვინდონი 4:1 ოქსფორდი**

1:0 ნჩა (8), 1:1 ბანგერი (25), 2:1, 3:1 ონუორა (72, 75), 4:1 ნჩა (86)

## პოლონეთი

მე-7 ტური. ლეგია — ვიძევი 1:0; ბელხატოვი — კატოვიცე 1:2; ვისლა — ამიცა 1:0; რუხი — რაძიონკოვი 1:0; ლკს — ლეხი 1:2; გურნიკი — სტომილი 1:1; პოგონი — ზაგლებე 3:2; ოდრა — პოლონია 2:2

## რუსეთი

24-ე ტური. როსტსელმაში — ლოკომოტივი 2:2; ზენიტი — დინამო 1:1; ჩერნომორეცი — ჟემჩუჟინა 0:0; შინიკი — ალანია 3:2; როტორი — ურალანი 3:1; ტორპედო — კრილია 1:0; ცსკა — ბალტიკა 2:0; სპარტაკი — ტიუმენი 7:0

## ავსტრია

მე7-ე ტური. ლუსტენაუ — ზალცბურგი 1:1; რიდი — გრაცერი 0:1; შტაირი — ტიროლი 2:1; შტურმი — ლინცერი 0:1

## იტალია

თასი. მეთექვსმეტედფინალი

პირველი მატჩები

კალიარი — ვენეცია 0:0; რეჯინა — ბოლონია 1:1; სამპდორია — ვერონა 2:0; ლეჩე — პიაჩენცა 1:2; პადოვა — ფიორენტინა 0:1; ატალანტა — ემპოლი 2:1; კიევო — რომა 2:2; გუალდო — უდინეზე 2:2; ბრეშა — ვიჩენცა 3:2; პარმა — ჯენოა 3:0; ლუკეზე — ბარი 1:0; ლაციო — კოზენცა 2:1; დი სანგრო — სალერნიტანა 0:0; ინტერი — ჩერენა 1:0;



# ირანში ბაირამია

## გურჯებს ოქრო-ვერცხლი არ გამოატანეს

ნებისმიერ ისტორიკოსს ირანის ისლამური რევოლუციის თარიღი რომ ჰკითხოთ, 1979 წელს დაასახელებს. მე თუ მკითხავთ, ირანში ნამდვილი რევოლუცია სწორედ ახლა იწყება — უკვე ორი დღეა, „აზადის“ ანუ თავისუფლების პირთამდე სავსე სასახლეში, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატს რომ მასპინძლობს, არცთუ იშვიათად კევის ღეჭვაში გართულ მანდილოსნებს მოჰკრავთ თვალს, რომლებსაც ტრადიციული ჩადრი კი მოუხსნიათ, მაგრამ თავსაფრები მაინც საგულდაგულოდ გამოუნასკვავთ ნიკაპის ქვეშ. მათ გვერდით მთლად ევროპულად გამოწყობილი ლამაზმანებიც კეკლუცობენ. ირანელ ქალთა ემანსიპაციაზე კი ის უფრო მეტყველებს, რომ ისინი მამაკაცთა შეჯიბრებაზე დაუშვეს და მამაკაცების გვერდით დაჯდომის უფლება მისცეს. ერთი სიტყვით, ირანში მართლაც რევოლუცია დაწყებულა და ეგ არის!

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ ჭიდაობის ქართველ ქომაგებს საქმე ლამის სატირლად გვაქვს — თეირანში მყოფ ჩვენს კოლეგას, ტელეჟურნალისტ ვლადიმერ ნიკოლეიშვილს რომ შევეხმიანეთ, ეს გვაცნობა, ჩემპიონობისთვის ბრძოლას ყველა ჩვენი ფალავანი გამოეთიშაო.

გუშინ შეჯიბრებაში კიდევ ოთხი წონითი კატეგორიის ფალავნები ჩაებნენ. ამათგან უფრო მსუბუქში, 58 კგ-ში ჩვენი ერთი მთავარი იმედთაგანი — გორელი დათო პოლოსიანი ჭიდაობდა. სამწუხაროდ, დათო პირველივე წრეში დამარცხდა უკრაინელ ბურლოვიჩთან და ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც დაეთხოვა. მას ახლა, მაქსიმუმ, ბრინჯაოს მედლის მოპოვებალა შეუძლია და ამ გზაზე ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი დაბრკოლება — სამხრეთაფრიკელი სმიტი იოლადაც დაძლია, დანარჩენი კი მომდევნო დღეებში გაირკვევა.

69-ში მწვრთნელები ემზარ ბედინეიშვილისგანაც ელოდნენ წარმატებას და აკი არც ემზარს გაუწბილებია ისინი — პირველ წრეში აშკარა უპირატესობით მოუგო მონღოლ ბუტსულუნს, რომელსაც შემდეგ უზბეკი კუჰევიც მიაყოლა — 5:4, მაგრამ უზბეკებმა ეს შედეგი გააპროტესტეს და ბედინეიშვილს წაგება ჩაუთვალეს. ასე ჩამოაცილეს ემზარი საჩემპიონო ბრძოლას და რადგან სხვა გზა არა აქვს, ისიც ბრინჯაოს მედლისთვის აგრძელებს ჭიდაობას — მესამე წრეში პოლონელ დომბროვსკასაც მოუგო 3:0.

85-ში კარგად დაიწყო გოჩა ჩიხრაძემ, რომელმაც ჯერ ჩინელი იანგი დაამარცხა, შემდეგ უზბეკი ლავაზოვი, მესამე წრეში კი რუსეთის ნაკრების წევრთან, ოლიმპიურ ჩემპიონ ჰაჯიმურატ მაგომედოვთან წააგო 1:5. მასაც ნუგეშად ბრინჯაო დარჩა, ისევე როგორც მძიმეწონოსან ალექსანდრე მოდებაძეს. მან პირველად უზბეკ კაისინოვს მოუგო, მაგრამ მეორე წრეში კენჭისყრამ პირდაპირ ლოდი ესროლა ირანელ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ რასულ ხადემის სახით. მოდებაძემ წარმატების მისაღწევ ხერხად რატომღაც ფეხში შესვლა ირჩია, ფანდი, რომელსაც ირანელთა ეროვნული ილეთი შეიძლება ვუწოდოთ. ჰოდა, თავის სტიქიაში მოხვედრილ ხადემსაც რა ენაღვლებოდა — უმოწყალოდ ართვა და ალლიტა ჩვენებურს ქულები. საბოლოოდ კი 8:0 მოიგო და სასტვენის შემდეგ თავზეც ემბორა მოდებაძეს.

რაც შეეხება გუშინწინ გამართულ შეხვედრებს, დათო ლეჟავამ (63) და ალექსანდრე კახნიაშვილმა (76) ორ-ორ მოგებას ამდენივე წაგებული მიაყოლეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

ელდარ კურტანიძემ ვერც წელს აისრულა გულისწადილი — მსოფლიოს ჩემპიონის წოდებას იგი ვერც ამჯერად მოიპოვებს, რადგან ფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა წააგო პოლონელ გარმულევიჩთან. ამ პოლონელთან წაგება საწყენი იმიტომაც არის, რომ ევროპის ბოლო ჩემპიონატის ფინალში ელდარმა სწორედ მას მოუგო, მაგრამ კიდევ უფრო საწყენი ეს წაგება იმიტომაა, რომ კურტანიძემ ძირითადი დრო 1:0 მოიგო, შემდეგ კი დამატებითში საკუთარ ილეთზე წამოეგო და 4 ქულაც უფეშქაშა მეტოქეს. საბოლოოდ გარმულევიჩმა 4:1 მოიგო, ელდარი კი დღეს იჭიდავებს ბრინჯაოს მედლისთვის.

ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებენ ჩვენი ყოფილი თანამემამულეები — ამჟამად კანადის სახელით მოასპარეზე გია სისაური და „უკრაინელი“ ზაზა ზოზიროვი, თუმცა ჩემპიონობის უფრო მეტი შანსი მაინც სისაურს აქვს, რადგან ზოზიროვს ძალიან ძლიერ მეტოქეებთან უწევს შეხვედრა.

აი, ასეთია ვითარება ხალიჩაზე. ხალიჩის გარეთ კი ალბათ ყველა იოლად წარმოიდგენს, რაც ხდება. აბა, რა დიდი მიხვედრა უნდა, რა მოხდება ბრაზილიაში, იქ რომ ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდეს. „აზადის“ 12-ათასიან დარბაზში ყოველდღე სრული ანშლაგია, ბილეთების შოვნა შავ ბაზარზეც კი პრობლემაა. შეხვედრების დამთავრების შემდეგ სასახლის მისადგომები ერთიანად ჩახერგილია მანქანებითა თუ ფეხით მოსიარულეებით. „აზადის“ სასახლე თეირანის ცენტრიდან დაახლოებით 20-25 კილომეტრითაა დაშორებული, თავის დროზე ეს შეგნებულად გაკეთდა, რათა თავიდან აეცილებინათ უწესრიგობანი თეირანის ცენტრში. აქ თურმე სერიოზულად იჭერენ თადარიგს დღევანდელი დღისთვის, რადგან დღეს 97-ის ფინალში მასპინძელი აბას ჯადიდი კურტანიძის მძლეველ გარმულევიჩს ხვდება.

**ირაკლი თავაძე**

REUTERS თეირანიდან



აზერბაიჯანელი ასკეროვი ამერიკელ პარლერს უტევს



# ნუ გაექცევით პელეტონს!

მე-4 ეტაპი. მალაგადან გრანადამდე. 173,5 კილომეტრი

წლევანდელი ტური უკიდურესად დაძაბულად მიმდინარეობს. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ საერთო ჩათვლის ლიდერი ეტაპიდან ეტაპამდე იცვლება და ვერც ერთმა ველომრბოლმა ვერ მოახერხა წამებში დიდი უპირატესობის მოპოვება.

მესამე ეტაპის შემდეგ ყვითელი კვართით ასპარეზობის უფლება ONCE-ს ლიდერმა ფრანგმა ლორან ჟალაბერმა დაიბევა. „ვუელტას“ 1995 წლის გამარჯვებული უახლოეს მდევარს ორი წამით უგებდა და იმედოვნებდა, რომ ლიდერობას არც შეჯიბრის მეოთხე დღეს გაუშვებდა ხელიდან.

უნდა ითქვას, რომ ჟალაბერს ცუდად არ ურბოლია. მან ორი საშუალედო სპრინტის მოგებით დამატებით 4 წამსაც კი გამოჰკრა ხელი, მაგრამ პირველი ადგილის შესანარჩუნებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. „პოლტის“ იტალიელმა ფაბრიციო გვიდიმ გარდა იმისა, რომ გრანადაში ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა, 12 სააქტივო წამის შემატებაც მოახერხა, რითაც საერთო ჩათვლაში ორწამიანი ლიდერობა იგდო ხელთ.

თავად ეტაპი დიდი დრამატულობით არ გამოირჩეოდა. პირველი ოცდახუთი კილომეტრის შემდეგ რამდენიმე სპორტსმენმა დაწინაურება სცადა და საკმაოდ წარმატებითაც. ერთი პერიოდი წინგასულები დამაჯერებლად ლიდერობდნენ და ჩამორჩენილთ დაწევის საშუალებას არ აძლევდნენ, თუმცა ასე დიდ ხანს არ გაგრძელებულა.

ველორბოლის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ ლარივით გაჭიმულ ტრასებზე, ეულად ასპარეზობა უაღრესად რთული რამაა. ეს ჭეშმარიტება მეოთხე ეტაპზეც ნათლად გამოჩნდა. პელეტონმა საჭირო მომენტში ტემპს უმატა და „გათავხედებული“ ლიდერები უმოწყალოდ შთანთქა. საბოლოოდ თითქმის ყველა მონაწილე, წინა სამი ეტაპის მსგავსად ერთად მივიდა ფინიშის ხაზზე, რის გამოც თითოეულ მათგანს საერთო ჩათვლაში ერთი და იგივე დრო შეემატათ.

რბოლის გარდა ამ დღეს სხვაც ბევრი რამ ხდებოდა საინტერესო. ორიოდე თვის წინ „ტურ დე ფრანსზე“ დოპინგ-სკანდალის ეპიცენტრში ყოფნით სახელგანთქმული კლუბის „ფესტინას“ ხელმძღვანელებმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვეს იმ სტატიის მიმართ, რომელიც წინა დღით ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში დაიბეჭდა. საქმე კი ისაა, რომ ჟურნალისტი ისევ ავადსახსენებელ ფრანგულ რბოლას დაუბრუნდა და მაშინდელ „გმირებს“ არმინ მეიერს, ალექს ცულესა და ლორან დიუფოს ძველი შავბნელი საქმეები გაუხსენა.

გახსოვთ, ალბათ, ტურიდან გაძევებულმა ზემოხსენებულმა მრბოლებმა მოგვიანებით ერთობლივი განცხადება გააკეთეს, სადაც აკრძალული პრეპარატის — ერითროპოეტინის (EPO) მიღება აღიარეს და ეს საქციელი საქვეყნოდ მოინანიეს.

ფრანგი ჟურნალისტების პუბლიკაციის სრული სამართლიანობის მიუხედავად შვეიცარიის ველოსპორტის ფედერაციის (FCS) პრეზიდენტმა ჰუგო შტაინეგერმა მათი ქმედება სასტიკად დაგმო. „ცულეს, მეიერისა და დიუფოს საკითხს 30 სექტემბერს დაწვრილებით განვიხილავთ და შესაძლოა, სპორტსმენებს მეტად მძიმე სანქციებიც დავაკისროთ, მაგრამ სანამ „ვუელტა“ მიმდინარეობს მოვლენების დაჩქარების უფლება არავის აქვს. ამით აღნიშნულ ველომრბოლებს სრულ კონცენტრირებაში ხელი ეშლებათ, რაც უეჭველად აისახება მათ მიერ ნაჩვენებ შედეგებზე“ — განაცხადა შტაინეგერმა.

REUTERS მურსიადან



ფაბრიციო გვიდი: მინდა გაკოცო, მაკოცო

1. ფაბრიციო გვიდი (იტალია) 4 სთ 27 წთ 22 წმ; 2. ჯოვანი ლომბარდი (იტალია); 3. იერონ ბლაილევენსი (ჰოლანდია) იგივე დრო.

საერთო ჩათვლა:

1. ფაბრიციო გვიდი (იტალია) 19 სთ 24 წთ 57 წმ; 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +2; 3. მარკუს ზბერგი (შვეიცარია) +5; 4. ფილიპ გომონი (საფრანგეთი) +12; 5. ჯულიანო ფიგერასი +13.

მე-5 ეტაპი. ოლულა დელ რიოდან მურსიამდე. 165,5 კილომეტრი

მეხუთე ეტაპზე ჰოლანდიელმა იერონ ბლაიველენსმა იმარჯვა, მაგრამ ამას საერთო ჩათვლაში არაფერი შეუცვლია.

**ბახა არჯევანიძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი

**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29